საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. სარევ. პარტიის.

წელიწადი მესამე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა" ღირს თვიურად 5.000.000 მან. ცალკე ნომერი ყველგან 400,000 მან. რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6 ტელეფონი 10—84.

განცხადების ფასი: 1 გვ. 20 კაპ. ჩერვონ. ნონპარელი
4 „ 15 „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. [illegible]
4 „ 1 მ. — „

№ 596 შაბათი ოქტომბრის 13 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 400,000

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამოფხიზლებული ახალგაზრდობა

სოც.-ფედერალისტთა პარტიაში საკმაოდ დიდი რაოდენობა იყო მოსწავლე ახალგაზრდობისა. პარტიისათვის ახალგაზრდა ძალებს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. ახალგაზრდა ძალებს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. ახალგაზრდა ძალების მობილიზაცია, მისი პოლიტიკური აღზრდა, ორგანიზაციული დარაზმვა ყოველი პოლიტიკური პარტიისათვის მიზანს შეადგენს. წარსულში ჩვენი პარტიის ხელმძღვანელებმა ვერ გამოიჩინოს ვერავითარი ფხა და უნარი პარტიის ირგვლივ შემოლებილი ახალგაზრდობის გაწვრთვნისა, სოციალისტურად აღზრდისა და მათი რევოლიუციონური სულისკვეთების გამოყენებისა.

ეს არც საკვირველია, ამის მიზეზების ახსნას ეხლა არ შეუდგებით. ალსანიშნავია მხოლოდ ის გარემოება, რომ ახალგაზრდათა უმრავლესობა, რომელიც მენშევიკების ბატონობის დროს პარტიის მემარცხენე ფრთის ქვეშ იდგა, პარტიაში მომხდარმა განხეთქილებამ საწინააღმდეგო ბანაკში მოაქცია და მემარჯვენე ფედერალისტთა გავლენას დაუმორჩილა.

საკვირველი არ არის, რომ ახალგაზრდობაზედ მეტი გავლენა ჰქონდა დროებით შექმნილ ატმოსფერას, აფექტს, გამოწვეულს გარეშე ძალის შემოსვლით. ჩვენ ეს სავსებით გვესმოდა, მაგრამ ისიც ვიცოდით, რომ მემარჯვენე ფედერალისტები ვერც პარტიას და ვერც ახალგაზრდობას ვერ მიიყვანდა მისალებ პოლიტიკურ გეზს, ხოლო პარტიის არსებობა არ შეიძლებოდა მენშევიკური იდეოლოგიის ნასუფრალით და მენშევიკური პრაქტიკის ქებადიდებით.

ადრე თუ გვიან ახალგაზრდობას ზურგი უნდა შეექცია მემარჯვენე ფედერალისტებისათვის. პოლიტიკურად მომწიფებული ახალგაზრდობა, უფრო კრიტიკულად მოაზროვნე ელემენტები, თავიდანვე დადგენ ჩვენი დროშის ქვეშ. დღეს კი პერსონალურ გამოსვლას ჩვენს რიგებში დაემატა ახალგაზრდათა ორგანიზაციების ლტოლვაც ჩვენსკენ. გუშინდელ ჩვენს გაზეთში მოთავსებული იყო ანგარიში ბანძის რაიონის ყოფილ მემარჯვენე ფედერალისტთა ახალგაზრდათა კონფერენციის, რომელიც გმობს მემარჯვენეთა პოლიტიკას, უკეთ —ალნიშნავს მათი პოლიტიკის უქონლობას და უბრუნდება იმ ამხანაგებს, რომელთა გვერდში მუშაობდენ ისინი მენშევიკების ბატონობის დროს.

ახალგაზრდათა ამოძრავებასა და გამოფხიზლებას არა აქვს კუთხური ხასიათი.

კონფერენციებისათვის სხვა რაიონებშიაც არის მზადება. ახალგაზრდობა ვერ ურიგდება დიდხნობით რევოლიუციის გარეშე დგომას და, რწმუნდება თუ არა თავის შეცდომაში, მყისვე უარყოფს თავის ძველ გზას და მიდის იქ, სადაც ხედავს სამსახურს ეროვნულ სოციალისტური მიზნებისათვის.

დარწმუნებული ვართ რომ გამოფხიზლებული ახალგაზრდობა გასკეცებული ენერგიის გაღებით გამოისყიდოს წარსულის შეცდომებს და პირნათლად და თავდადებით ემსახურება რევოლიუციის მიზნებს.

## [illegible]

**ჩვენ ჭირნახულს ბაზარი უნდა მოვუნახოთ.**

ამ სათაურით გაზ. „მიწის მუშა" შემდეგსა სწერს:

„ჩვენში სოფლის ნაწარმოებს ძლიერ დაბალი ფასი აქვს.

გლეხობა მოწადინებულია შეიძინოს კარგი სამეურნეო იარაღები, მანქანები, დაიწყოს გონივრული მიწის მოვლა და მეურნეობა წინ წასწიოს; მაგრამ მას ამის სახსარი არა აქვს.

ჭირნახულს ისე იაფათ ჰყიდის, რომ სამაგიეროს ვერას ყიდულობს.

გლეხობამ არ იცის ჭირნახულის სხვა გზით გამოყენება.

ჭირნახულით ღორი, ან სხვა ოთხფეხი რომ გაასუქოს, მაშინ უფრო მეტ ფასს აიღებს.

ამას რამოდენიმეთ მიხვდა ჩვენი გლეხობა და აქა-იქ ჭირნახულს საქონელს ანდომებენ.

ეს ძლიერ საგულისხმო მოვლენაა.

ომამდე ჩვენი ჭირნახული საზღვარ გარეთის ბაზარზე გადიოდა და იქ საღდებოდა.

საშუალოთ ყოველწლივ საქართველოდან გაჰქონდათ მილიონებით ფუთი სიმინდი.

რაც უფრო მოსავლიანი წელიწადი იყო, მით უფრო მეტი გაჰქონდათ.

ამას ხელს უწყობდა რუსეთის პური, რომელიც ჩვენში ბლომათ შემოჰქონდათ.

ომის და რევოლიუციის დროს მდგომარეობა შეიცვალა.

ჭირნახულის მოყვანა შემცირდა მუშა ხელის ნაკლებობის გამო.

შესწყდა მიმოსვლა საქართველოსა და რუსეთს შორის.

ამას მოჰყვა ჭირნახულის ნაკლებობა და სიძვირე.

ყველაზე უფრო საჭირო და ხელსაყრელი შეიქმნა სიმიდის მოყვანა.

ამიტომაც იყო, რომ ზოგან უფრო ძვირფასი მცენარეულობის (ვენახი, თამბაქო და სხ.) მოყვანას თავი მიანებეს და სიმინდის თესვა დაიწყეს.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მდგომარეობა ძირიანათ შეიცვალა.

რუსეთის პური საქართველოში ბევრია და შედარებით ხელსაყრელ ფასებში იყიდება.

ესე, რომ სიმინდის ის შიგნითი ბაზარი, სადაც ის საღდებოდა დაეკარგა. ამის გამო მისი ფასი დაეცა.

გლეხობამ განაახლა უფრო ძვირფას მცენარეთა მოყვანა.

დღეს ჩვენში მარტო ზედმეტი სიმინდი დაახლოვებით 2—3 მილ. ფუთამდე იქნება.

ამას უნდა მიუმატოთ წლევანდელი მოსავალი. ის მოგვცემს დაახლოვებით 5—6 მილ. ფუთ ზედმეტ სიმინდს.

ეს კიდევ უფრო დასცემს ჩვენი სიმინდის ფასს შიგნით ბაზარზე.

აქ გამოსავალი ერთია სიმინდს უნდა მოუპოვოთ ბაზარი.

ეს არის ჩვენი კოოპერატივების სადღეისო ამოცანა.

კოოპერატივები ცდილობენ ამ საქმის მოგვარებას.

საჭიროა ფართოთ გადასწყდეს ეს საკითხი.

მაგალითი შეგვიძლია რუსეთიდან გადმოვიღოთ.

რუსეთის პური თანდათან იკავებს თავის ძველ ბაზრებს და მისი ფასიც მატულობს.

ჩვენც უნდა ვეცადოთ ჭირნახულის გასაღების საქმე უფრო კარგათ მოგვარდეს".

უსათუოდ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ამ საკითხს და რაც შეიძლება საჩქაროთ. დღეს სოფლის ნაწარმოებს თითქმის არარავითარი ფასი არა აქვს ფაბრიკანტებთან შედარებით, რაც არამც თუ განადგურებას უქადის სოფლის მეურნეობას, ამავე დროს უფსკრულათ სთხრის სოფელსა და ქალაქს შორის. ეს კი დიდათ სახიფათოა და დროზე უნდა შველა.

## მცირე განმარტება

„ტრიბუნის" № 562 ნომერში მოთავსებული იყო ჩემი წერილი **„ძველი ანგარიშები"** რომელიც მიზეზი გახდა ჩვენსა და „კომუნისტს" შორის პოლემიკისა.

არსებითად ამ პოლემიკაში ჩარევა საჭიროდ არ მიმაჩნია, რადგან საამისოდ საკმაოდ დაიწერა ამხ. თედო ღლონტის მიერ.

მკითხველის ყურადღება მინდა შევაჩერო მხოლოდ ერთი გარემოების შესახებ. ამხ. თ. ბ—ის აზრით მე ვითომც მსურდეს „ფედერალისტთა წარსულის უნაკლოდ დახატვა", რომ ვითომც მე ვამბობდე რომ „ფედერალისტები 25 წლის წინადაც იმავე პოზიციაზედ იდგენ, რომელსაც დღეს იცავენ." (ლაპარაკია ჩვენზედ. ს. ქ.)

უნდა ალვნიშნო, რომ მე მთელი ჩვენი წარსულის გამართლება, მთელი 25 წ. განმავლობაში პარტიის პრაქტიკული მოღვაწეობის „უნაკლოდ დასახვა" აზრადაც არ მომსვლია. ამას ვერც დავიცავდი, როგორც ვერ დაიცავს ამხ. ი. ბ. სოც.-დემოკრატიის წარსულის მთელ მოღვაწეობას და კომპარტიის „უნაკლობას". შემცდარი პოლიტიკა და „უნაკლო" პარტია შეუძლებელია ობიექტიურად, რამდენადაც პოლიტიკა სოც.-მეცნიერებათა დანასკვებს ემყარება, ხოლო ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ ყველასათვის სავალდებულო, ობიექტიურ და ზუსტ ჭეშმარიტებას ვერ იძლევა.

მე ჩემს წერილში **ვეხებოდი მხოლოდ პარტიის თეორეტიულ დებულებებს**, ალვნიშნავდი რომ **„ფედერაციის, სოციალიზაციის, კოოპერატიზაციის და რევოლიუციონური, აქტიური სოციალიზმის** ქადაგებაში მარქსისტები წუნს ვერ დაგვდებენ," და დავძენდი, რომ „ამ **დებულებებს** ჩვენ 25 წლის განმავლობაში ვიცავდით"-თქო. (ხაზი ახალია ს. ა.)

მკითხველი ხედავს, რომ აქ ლაპარაკია არა პარტიის 25 წლის პრაქტიკული მოღვაწეობის შესახებ, არამედ „იმ დებულებების" შესახებ, რომელიც ჩამოთვლილი იყო ჩემს წერილში.

კიდევ მეტი. მე ალვნიშნავდი, რომ ჩვენ „დანაშაული მიგვიძღვის მშრომელი ხალხის წინაშე". მე დავსძენდი, რომ ეს დანაშაული იმაში მდგომარეობს, რომ მეტი ენერგიით ვერ ვებრძოლეთ მოწინააღმდეგეთ... და ვერ შევძელით უფრო ადრე იმ ლოზუნგთა რეალიზაცია, რომელსაც მენშევიკებიცა და ბოლშევიკებიც უარყოფდენ წარსულში და ეხლა იცავენ ზოგს სავსებით, ზოგსაც სანახევროდ, ტაქტიკურად მაინც".

აქედან აშკარაა, რომ ჩვენი წარსულის დანაშაულობა არის „ფედერაციის, სოციალიზაციის, აქტიური, რევოლიუციონური სოციალიზმი-"სთვის უწესრიგოთ ბრძოლაში და მაშასადამე არ არის მართალი ამხ. ი. ბ., რომელსაც სურს პარტიის „25 წლ." პრაქტიკული მოღვაწეობა, მთელი რიგი დაუშვებელი შეცდომები, რომლის წინააღმდეგ მემარცხენენი ყოველთვის ვიბრძოდით, ჩემზედ გადმოიცხოს და მიკიჟინოს „წარსულის უნაკლოდ" დასახვა

რაც შეეხება იმ დებულებას თუ ვინ უფრო ადრე აყენებდა „ფედერაციის, სოციალიზაციის, კოოპერატიზაციის და რევოლიუციონური, აქტიური სოციალიზმის" პრინციპებს, ამისათვის უბრალო მეხსიერებაც საკმაოა მისთვის, ვინც დღეს არ გამოსულა საქართველოში პოლიტიკური მოღვაწეობის სარბიელზედ, გარეშე წარსულის პოლიტიკური მოვლენების გაცნობისა.

ეს მცირე განმარტება საჭიროდ მიმაჩნია იმიტომ, რომ მკითხველი საზოგადოება შეცდომაში არ შეიყვანოს ამხ. ი. ბ—ის მიერ ჩემი წერილის განმარტებამ.

ს. ა.

## დღიური

— **რურში მემალაროები იძულებული შეიქნენ უარი ეთქვათ სამუშაო დღის გადიდებაზე.**

— **საქსონიის მთავრობაში კომუნისტები მოითხოვენ 3 ადგილს.**

— **ბერლინის სასურსათო ბირჟაზედ უარს ამბობენ ქაღალდის მარკის მიღებაზედ**

**შაბათს რეიხსტაგში დანიშნულია მთავრობისთვის უფლებების გაფართოების კანონის მესამე კითხვა.**

— **საქსონიის წითელი მთავრობა უკვე შესდგა კომუნისტებს მიეცათ 2 ადგილი.**

— **სპარსეთში სწარმოებს დაპატიმრებანი. კაბინეტის მდგომარეობა ვერ არის მტკიცე**

**რუმინეთის კაბინეთმა დაადგინა გადადგეს ფორმალურად**

— **საფრანგეთის პროფკავშირები მოითხოვენ საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკების დაწყებას.**

## [illegible]

**„ზაკროსტას" ცნობები 9 ოქტომბრიდან.**

**გერმანიის ამბები.**

რურში მუშები ძალიან ეწინააღმდეგებიან სამუშაო დღის გადიდებას.

რურის სამთამადნო წარმოების მუშების ქრისტიანულმა კავშირმა ბერლინის მთავრობას მოსთხოვა მაღაროების პატრონების დაპატიმრება მუშათა კანონმდებლობის და ქვეყნების კონსტიტუციის დარღვევისათვის.

შექმნილ მდგომარეობის გამო მაღაროების პატრონებმა გამოაცხადეს, რომ დროებით სამუშაო დღე არ იქნება გადიდებული და ამ საკითხის გამოსარკვევად საჩქაროდ დაიწყება მოლაპარაკება ბერლინში მემაღაროებისა და მუშათა წარმომადგენლების შორის.

„ნიუ-იორკ ტაიმსის" ცნობით, იტალიეთის მთავრობას ეშინიან, რომ საფრანგეთ-გარმანიის შეთანხმებას შეიძლება მოჰყვეს მათი მრეწველობის ჰეგემონია ევროპაში და, აგრეთვე, რომ შემცირდება მისდამი კუთვნილი კონტრიბუცია.

ამის გამო იტალეთის მთავრობამ დაავალა თავის წარმომადგენლებს პარიზსა, ბრიუსელსა და ბერლინში, თვალყური ადევნონ მოლაპარაკების მსვლელობას, რათა საჭირო დროს იტალეთმა კატეგორიულად მოითხოვს თავისი უფლებები.

საქსონიაში მუშათა და გლეხთა მთავრობის დაარსების საკითხზედ მოლაპარაკებაში კომუნისტები მოითხოვენ მიეცეთ მათ მთავრობაში 3 ადგილი თუ შინაგან საქმეთა მინისტრად სოც.-დემ. იქნება.

ბერლინში დოლარის ოფიციალური კურსი ავიდა 3 მილიარდ 700 მილ. მარკამდე. შავ ბირჟაზედ კი დოლარი ღირს შვიდი მილიარდი მარკა.

სასურსათო ბირჟაზედ ქაღალდის მარკას აღარ იღებენ.

მთავრობისათვის ფართე უფლებების მინიჭების კანონი რეიხსტაგში პირველ და მეორე კითხვის დროს მიღებულ იქნა უმნიშვნელო უმრავლესობით.

კომუნისტებისა და ნაციონალისტების მოთხოვნით, შაბათს დანიშნულია რეიხსტაგში კანონის ხელახალი მე-3 წაკითხვა.

საქსონიის წითელი მთავრობა უკვე შესდგა. კომუნისტებს მიეცათ ორი ადგილი—ფინანსთა და სახ. მეურნეობის სამინისტროები.

სახელმწიფოს კანცელიარიის გამგედ დანიშნულია კომუნისტი. დანარჩენი სამინისტროები ს.-დემოკრატებისა.

შეთანხმება სოც.-დემ. და კომუნისტებს შორის მოხდა პროლეტარიატის შეიარაღების (ფაშიზმთან თავდაცვითი ბრძოლისათვის) და პროლეტარულ რაზმების დაარსების საფუძველზედ. კომუნისტებს უფლება ეძლევათ გასწიონ კონტროლი და მონაწილეობა მიიღონ შინ. საქ. და იუსტ. სამინისტროებში, რისთვისაც გზავნიან იქ თავის წარმომადგენლებს.

გერმანიაში ემჩნევა ახალგაზდათა კომკავშირის დიდი ზრდა, მაშინ, როდესაც სოციალისტურ ახალგაზრდობის ორგანიზაციები იშლებიან.

ესსენის სავაჭრო პალატამ ფრანგებთან მოლაპარაკებას აწარმოებს ეკონომიური მოქმედების აღდგენის შესახებ.

გერმანიის წარმომადგენლის ცდა პარიზში, რათა საფრანგეთის მთავრობასთან მოხერხებული უშუალო მოლაპარაკება, უშედეგოდ დამთავრდა.

საფრანგეთის ოფიციალური ცნობით მუშაობის განახლების საკითხი უნდა გადასწყდეს საოკუპაციო მთავრობის მწარმოებლებთან და მუშებთან მოლაპარაკებით.

ჯარი ცდილობს მოიპოვოს მასაში სიმპატია რისთვისაც აიაფებს ლუდს და სასტიკ ზომებს იღებენ სპეკულიანტების მიმართ

მე-5 დივიზიის უფროსმა გენერალ კორნმა აღკრძალა ტიურინგიაში პროლეტარულ რაზმების დაარსება. კომუნისტური პრესა დაცინვით ამ ბრძანებას „ქაღალდის დეკრეტს" ეძახის, რადგანაც იგი ცხოვრებაში არ გატარდება.

საქსონიის ლანდტაგის დაცვა გააძლიერეს, რადგანაც ხმებია, ვითომც, მოსალოდნელია თავდასხმა საქსონიის მოღვაწეებზედ.

სიმის ცნობით, იტალეთის ფაშისტთა პარტიის მდივანმა საზღვარ გარეთის ფაშისტებისაგან მიიღო ცნობა, ვითომც, ლიუდენფორფმა წინადადება მისცა გიტლერს, რათა ისინი გაერთიანდნენ და შეუტიონ ბერლინს.

თანახმად ამ ცნობისა გერმანიაში მდგომარეობა მეტად სერიოზულია.

საქსონიის წარმომადგენელი ბავარიაში, ზიემბოვსკი, საქსონიიის მთავრობაში კომუნისტების შესვლის გამო, გადადგა.

პუანკარემ განაცხადა, რომ რურში ძველი მდგომარეობის დაბრუნება შეიძლება მხოლოდ გერმანიის მთავრობასა და მრეწველთა წარმომადგენლებთან მოლაპარაკების შემდეგ. მთავრობასთან მოლაპარაკების დაწყება კი შეიძლება მხოლოდ პასიურ წინააღმდეგობის ნამდვილის მოსპობის 3—4 კვირისა და გერმანიის მიერ ახალი დამამტკიცებე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი საბუთების წარმოდგენის შემდეგ. რომ იგი მზადაა შეასრულოს თავისი ვალდებულება.

საფრანგეთის პროფკავშირებმა, თავისი აღმასკომის სახით, ერთხმად გამოიტანეს რეზოლიუცია რომლითაც საფრანგეთის მთავრობისაგან მოითხოვენ დაუყოვნებლივ უშუალო მოლაპარაკების დაწყებას გერმანიასთან. კომუნისტების წინადადება მთლიანი ფრონტის შესახებ უარჰყვეს.

საფრანგეთისა და ბელგიის მთავრობებმა არ მისცეს გერმანიას გადაწყვეტილი პასუხი საკონტრიბუციო საკითხზედ მოლაპარაკების დაწყების შესახებ.

„დეილი მეილის“ ცნობით, ფრანგებმა გაწმინდეს დიუსელდორფის პოლიცია; დაითხოვეს 400 მეტი ძველი პოლიციელი, რომელთა მაგივრადაც მიიღებენ რეინის სეპარატისტებს.

მთავრობის უფლებების გაფართოვების კანონი ჰაერში ჰკიდია. მესამედ კითხვის დროს კიდევ ვერ შეთანხმდნენ და შაბათისათვის გადაიდო. შტრეზემანმა ინახულა ებერტი. ამტკიცეაენ, რომ მან ებერტისაგან ნებართვა მიიღო დაითხოვოს რეიხსტაგი.

# უცხოეთი

**ლონდონი.** ცნობებია, ვითომც საიმპერიო კონფერენციაზედ ზოგიერთ ახალშენის პრემიერებმა აღძრეს რუსეთის საკითხი და აღნიშნეს ს. ს. რ. კ. და დიდი ბრიტანეთის შორის სავაჭრო ურთიერთობის აღდგენის სასურველობა.

**პარიზი.** კერზონის სიტყვამ საიმპერიო კონფერენციაზედ არასასურველი გავლენა იქონია ბელგიის მთავრობის წრეებზედ, რომლებსაც ეშინიანთ, რომ ეს სიტყვა ანტანტის დაშლის მიზეზი გახდება.

**პარიზი.** სუდანში (აფრიკა) საფრანგეთის ჯარსა და ადგილობრივ მცხოვრებლების შორის მომხდარ შეტაკების დროს მოკლულია 60 ფრანგი. სუდანში იგზავნება ძლიერი დამსჯელი რაზმები.

**ვენა.** სამხრეთ-სლავიის სახალხო განათლების სამინისტრომ დაადგინა რუსის პროფესორები, როგორც უცხოეთის ქვეშევრდომნი, არ მიიღონ სამსახურში.

**თეირანი.** (სპარსეთი) სამხედრო მთავრობის მიერ თეირანსა და პროვინციაში სწარმოებს დიდი დაპატიმრებანი. დაპატიმრებულია დიდი მოღვაწე—ანგლოფილი, კაკანო-სოლტანე. გაზეთები ამ ამბებს უკავშირებენ დიდი შეთქმულების აღმოჩენას. კაბინეთის მდგომარეობა ვერ არის მტკიცე. დაჟინებით ლაპარაკობენ შაჰის საზღვარ-გარეთ წასვლის შესახებ.

**ვენა.** რუმინეთის კაბინეთმა დაადგინა გადადგეს ფორმალურად. ნაწილობრივად შეცვლილი კაბინეთი შესდგება ფაშიზმის მოწინააღმდეგე, ლიბერალური პარტიის წარმომადგენლებისაგან. შინაური პოლიტიკა დარჩება უცვლელად. საგარეო პოლიტიკაში განაგრძობენ იტალეთის ორიენტაციას.

**პრაგა.** (ჩეხო-სლოვაკია). კლერიკალური გაზეთი მოითხოვს მთავრობაში მათი მონაწილეობის გაფართოებას, რადგანაც მათ გაიმარჯვეს მუნიციპალურ არჩევნები.

**ვენა.** ბელგრადის გაზეთ „პოლიტიკას“ ცნობით, ბულგარეთის მთავრობამ ნიშში გაგზავნა სპეციალური კომისარი, რომელსაც დავალებული აქვს კოლაროვისა და დმიტროვის მოკვლა. კოლაროვმა და დმიტროვმა მოწოდებით მიმართეს ბალკანეთის სახელმწიფოებს, სადაც მოითხოვენ ხელი შეუშალონ სამხრეთ-სლავიას გამოქცეულთა გაცემაში და დახმარება აღმოუჩინონ ლტოლვილთ.

**ვარშავა.** პოლონეთის ბანკებში გაჩნდა რუსეთის ჩერვონცები. მათი ფასი ადის 6 დოლარამდე.

**რიგა.** გაზეთი „იაუნაკასზინიას“ იტყობინება რომ უნდა მოხდეს ესტონეთისა, ლიტვისა და ლატვიის გარეშე საქმეთა მინისტრების თათბირი. დასმული იქნება საკითხი ამ სახელმწიფოთა კავშირის შექმნის შესახებ.

**ოსაკა.** იაპონიის მთავრობამ დაადგინა პარლამენტის უახლოეს სესიაში შეიტანოს საყოველთაო არჩევნების კანონ-პროექტი.

### მუშათა მოძრაობა

**ნიუ-იორკი.** ამერიკის შრომის ფედერაციის ყრილობამ დაადგინა გამორიცხოს დენი კომუნისტებისათვის თანაგრძნობისათვის. წასვლის დროს დენმა უთხრა: „ნახვამდის, ვიდრე შევხვდებოდეთ ერთმანეთს ბარიკადებზედ“.

ყრილობამ უარჰყო რეზოლიუცია ამერიკის მუშათა პარტიის დაარსების შესახებ.

**ვენა.** სემიგრადიის სამრეწველო რაიონებისა და ძველი რუმინეთის პროფკავშირებვს წარმომადგენლების შეერთებულმა თათბირმა უარჰყო კლაუზენბურგის ყრილობის დადგენილება ამსტერდამის პროფინტერნთან შეერთების შესახებ. მანვე დაადგინა მოიწვიოს პროფკავშირთა ახალი ყრილობა და წინადადება მისცეს პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს განაგრძოს თავისი მოქმედება.

### ს. ს. რ. კ. ცნობის გარშემო

**ჰელსინგფორსი.** ფინეთის ფაბრიკათა გაერთიანება ს. ს. რ. კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატს აძლევს კრედიტს 3,000 ტონა ქაღალდზე ავსტრიის მატყლის სასყიდლად ფინეთის ფირმები იძლევიან სესხად 5 მილიონ ოქროს მანეთს რამდენიმე თვის ვადით.

**სტოკჰოლმი.** მოსკოვში მიემგზავრება შვეციის დელეგაციის ახალი თავმჯდომარე, ხეიდენსტამი.

**პარიზი.** ჩრდილოეთ საფრანგეთის დეპარტამენტის გენერალურმა საბჭომ გამოსთქვა ს. ს. რ. კ. სავაჭრო ურთიერთობის აღდგენის სურვილი, იმ პირობით კი, რომ საბჭოთა მთავრობამ მისცეს საჭირო გარანტიები.

**მოსკოვი.** მოსკოვში ჩამოვიდა საფრანგეთის სხვილი ფინანსიური ჯგუფების რწმუნებული, დელეგრანი, რათა გამოარკვიოს საფრანგეთის კაპიტალის მოხმარების საჭიროება ს. ს. რ. კ. საკონცესიო საფუძვლებზედ.

**ოსაკა.** იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრი უარჰყოფს „რეიტერის“ სააგენტოს ცნობას, ვითომც 20 ოქტომბერს იხსნებოდეს რუსეთ-იაპონიის კონფერენცია.

# ახალი ამბავი

— **ბინის საკითხის რეორგანიზაცია.** ტფ. მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა საბჭოს პლენუმის სხდომამ დაადგინა ბინის საკითხის რეორგანიზაცია, რომელიც წარედგინა სახ. კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად.

— **ბინის ქირის ახალი ტარიფი.** ტფ. მუშათა, გლეხთა, წითელ-არმიელთა საბჭოს პლენუმმა დაამტკიცა ბინის ქირის ახალი ტარიფი.

— **სანიტარული სახლი.** ჯამრთელობის სახ. კომისარიატის გადაწყვეტილებით სანიტ-განათლების სახლის გახსნა განზრახულია ოქტომბრის დღესასწაულისათვის.

— **მოწყალე დათა კურსები.** მოწყალე დათა კურსებზე სწავლა განახლდა. პირველ სემესტრზე მიღებულია 60 მსმენელი.

— **შრომის ბირჟა.** 11 ოქტ. შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა—399 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა—122 უმუშევარი სამუშაოზე გაიგზავნა—41 უმუშევარი.

— **ბათომის სოც. დაზღვ. საქმეების მოსაგვარებლად.** ამ დღეებში ტფილისიდგან გაემგზავრება რ. სოც. დამ. სამმართველოს უფროსი ამხ. ცომაია.

— **სიღნაღის სოც. დამზღვევ კასის ახალი შტატი.** დამტკიცებული იქნა სიღნაღის დამზღვევ კასის ახალი შტატი 9 კაცის შემადგენლობით.

— **დამზღვევ კასის ახალი პუნქტები.** რ. ს. დ. სამმართველოს კოლეგიამ დაამტკიცა სიღნაღის მაზრისათვის 4 ახალი პუნქტი: ქოდალოსი, ველისციხის, წითელ წყაროს და ლაგოდეხის რაიონი.

— **საბუღალტერო კურსები.** ვინაიდგან განათლების სახ. კომისირიატთან არსებულ პროფტეხნიკურ განათლების სექციის მიერ მოწყობილ საბუღალტერო კურსებზე მსურველთა რიცხვი დიდია, ამიტომ გადაწყდა კურსებთან დაარსდეს პარალელური კურსები, სადაც მიიღებენ მსურველთ.

— **დახმარება გორის ჯანმრთელობის განყოფილებას.** თანახმად ს. დ. სამმართველოს დადგენილებისა, გორის დამზღვევ კასიდგან ადგილობრივ ჯამრთელობის განყოფილებას მიეცა 1 მილიარდი მანეთი.

— **ახალი ინსტრუქცია.** რ. ს. დ. სამმართველოს საორგანიზაციო განყოფილებას დაევალა გამოიმუშაოს შრომის დაცვის განყოფილებასთან ერთად ახალი ინსტრუქცია დამზღვევ ორგანოების და შრომის დაცვის ორგანოების ურთ-ერთ დამოკიდებულებათა შესახებ.

— **მიწათ მოქმედების კომისარის მოადგილის დაბრუნება მოსკოვიდან.** მოსკოვიდან დაბრუნდა მიწად-მოქ. კომისარის მოადგილე ამხ. ვასილ კანდელაკი, რომელიც წასული იყო რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საქმეების გამო.

— **საზამთრო კურორტის მოქმედება.** საქ. სახ. კომ. საბჭომ ნება დართო ჯამრთელობის სახ. კომისარიატს მომავალ საზამთრო სეზონისათვის გახსნა აბასთუმნის აგარაკი 110 საწოლით, ბორჯომში—30 საწ. ქ. ქობულეთში—50 ს. დასახელებულ აგარაკის ს[illegible] [illegible] განსახლ[illegible] გადაეცა ფინანსთა კომისარიატს.

— **მოკენჭილი გზების გასაყვანად.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ წინადადებით მიმართა უმაღ. მეურნეობის საბჭოს პრეზიდიუმს, სასწრაფოდ გაგზავნოს ტეხნიკური კომისია თვალივის და ბორჩალოს შორის მოკენჭილ გზების გასაყვანად და შეადგინოს ამისათვის სათანადო ხარჯაღრიცხვა.

— **შრომის ბირჟის მოქმედება.** შრომის ბირჟის კომიტეტი ამ ჟამად ათვალიერებს ცეკავშირის, ცენტრო-კავშირის ჯამრთელობის სახ. კომისარიატს კომიტეტს. მიზნად აქვს გამოარკვიოს მუშა-მოსამსახურეთა მიღების წესი. პირველ საქალაქო საავადმყოფოდან მოხსნილი იქნეს 18 მოსამსახურე, როგორც შრომის ბირჟის გარეშე მიღებული.

— **უმუშევარ ქიმიკოსთა კრება.** 15 ოქტომბერს დილის 12 ს. ქიმიკოსთა კავშირის ბინაზე შესდგება უმუშევარ ქიმიკოსთა საერთო კრება.

— **ტუსაღის გაქცევა.** მე-9-ე სამილიციო რაიონში 10 ოქტ. ღამის 9 საათზე რაიონის სატუსაღოდან გაიქცა პატიმარი რუბენ არუთინოვი, რომელსაც ბრალი ედებოდა ქურდობაში.

— **ქალის გატაცება.** 10 ოქტ. მოქ. ნინა ლებეძინი მცხ. ფომის ქ. № 19-ში ძალდატანებით გატაცებული იქნა მოქ. აბდულ მინოვის მიერ. ბოროტ-მომქმედი შეიპყრეს.

— **ქურდის შეპყრობა.** 10 ოქტ. შეპყრობილი იქნა მოქ. ივანე აკოფოვი, რომელსაც ბრალი ედებოდა მოქ. სანდრო შიხნინოვისაგან ჩერვონცების დატყუებაში, რომელიც გამოტყდა დანაშაულში.

**ბინის გაქურდვა.** მე 8-ე სამილიციო რაიონში გაქურდული იქნა მოქ. ალექსანდრე იუტოვის ბინა მცხ. 19 თებერვლის ქ, № 21-ში. საიდანაც წაღებულია სხვა და სხვა ნივთები, ღირებული 2.500.000.000 მან. ბოროტ-მომქმედი იქნა შეპყრობილი, რომელიც აღმოჩნდა მისაკ სასიანი.

— **თავის დაჭრა.** 8 ოქტ. ღამის 10 საათზე ნინა მანიავამ მცხ. საპიორნის ქ. № 19-ში რევოლვერით დაიჭრა თავი, რომელიც იქნა გადაგზავნილი საავადმყოფოში, მიზეზი თავის დაჭრისა, როგორც გამოირკვა, ყოფილა ოჯახური უსიამოვნება.

— მე-9-ე სამილიციო რაიონში 8 ოქტ. გაქურდული იქნა მოქ. თამარ იმედაშვილის ბინა, საიდგანაც წაღებულია სხვა და სხვა ნივთები, ღირებული 4 მილიარდ მანეთისა. ბოროტ-მომქმედი ჯერ-ჯერობით არ არის აღმოჩენილი.

— **ვალიუტის კურსი.**

8 ოქტომბერი.

| | | |
|---|---|---|
| ჩერვონეცი | 61,800,000 | მ. |
| სტერლინგი ეფექ. | 56,600,000 | „ |
| ჩეკი. | 52,500,000 | „ |
| დოლარი ეფექ. | 12,500,000 | „ |
| ჩეკი, | 11,650,000 | „ |
| ოსმალური ლირა | 6,800,000 | „ |
| საბჭოთა ფული | 12,500 | „ |

# პარტიაში

დღეს საღამოს 7 სათზე ცენტრალურ კლუბში (ლორის მელიქოვის ქუჩა) დანიშნულია ამხ. სტუდენტების კრება. დასწრება სავალდებულოა.

# აი პასუხი.

### ოპონენტის მსჯელობათა ნიშნების მეორე სერია.

(დასასრული)

როგორც მკითხველი ხედავს, აქ **სოციალიზმ-ფედერალიზმის დოქტრინის** რევიზიაზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ იმ **ყალბ** შეხედულების მარქს-ენგელსის ეროვნულ პოლიტიკის შესახებ, რომელიც შებღავლა ჩვენში. განა, რომ აღნიშნო კაცმა, ან პარტიამ, რომ ამ და ამ მოძღვარს ქონდა ეროვნული პოლიტიკაო, ეს საკუთარი დოქტრინის რევიზიას ნიშნავს? მთელს წერილში მე კრინტიც არ დამიძრავს სოციალ-ფედერალიზმის დოქტრინისა და მსოფლმხედველობის რევიზიის შესახებ. (ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ მე მომხრე არ ვიყო ამ რევიზიის. მხოლოდ ერთ ადგილს გაკვრით შევეხე პარტიის ეროვნულ პოლიტიკას.) მაშ საიდან უნდა მიეღო ამაღლობელს ამ რევიზიის შედეგები, ასე გაფაციცებით რომ დაეძებდა?

თუ მას სურდა კამათი, მას უნდა **დაემტკიცებინა**, რომ ჩვენს წინაპრებს მარქსის ეროვნულ პოლიტიკის შესახებ სწორი შეხედულება ჰქონდათ შემუშავებული, იგი მხოლოდ არის და არ **საჭიროებს გადასინჯვას**. ამ შემთხვევაში კამათი გარკვეულ კალაპოტში ჩადგებოდა. ჩვენ გავიგებდით **რას ამბობდენ ისინი**—ამბობდენ კი მეტად შეუსაბამოსა და უხეშ რამეებს,—და **რამდენად შეესაბამებოდა სინამდვილეს**.

ჩემი წერილების მთავარი და ძირითადი საგანი იყო მარქს-ენგელსის ეროვნული პოლიტიკის ობიექტიური გამორკვევა, გაგება მისა, თუ როგორ პროგრამას აყენებდენ მარქსი და ენგელსი ეროვნულ საკითხის გადასაწყვეტად. მთელი 13 ფელეტონის სივრცეზე ამ საკითხს დავტრიალებდი და ობიექტიურად ვარკვევდი მას. **გაკვრით**, მხოლოდ ორ ადგილას შევეხე მარქსის დოქტრინას კრიტიკულად და გაკვრითვე გამოვსთქვი ჩემი აზრი. (საზოგადოთ ჩვენს პარტიაში არასოდეს არ ყოფილა გარკვეული და მთლიანი პარტიული შეხედულება მარქსიზმის დოქტრინაზე. პარტიის ბელადები სხვა და სხვა ნაირად უდგებოდენ მას.) *). ამით, რასაკვირველია, **არ შევდგომივარ ამ დოქტრინის რევიზიას აღნიშნულ წერილებში**, ეს არც საჭირო იყო.

ეს გარემოება აძლევს საშველს ჩემს ოპონენტს განაცხადოს, რომ სან-დონი მარქსიზმისა და სოციალიზმ-ფედერალიზმის **რევიზიას** შეუდგა და დასკვნები კი არ მოგვცაო. იგი სწერს: საკითხავია, რა მიიღო ამხ. სანდონმა და რით შეასწორა მან მის მიერ „სარევიზიოთ დასახული თეორიები? ამაზედ პასუხი მეტად ძნელია. **დაკვირვებით რამდენჯერმე** (თუ როგორ დაკვირვებით კითხულობს ამაღლობელი ეს უკვე იცის მკითხველმა ს. დ.) რომ გადაიკითხოთ ამხ. სან-დონის 13 ფელეტონი ვერ გაიგებთ თუ რა შესწორება შეიტანა მან აღნიშნულ დოქტრინაში, **რა სურდა მას და რა მიიღო რეზულტატად**“ (№ 531 ხაზი ჩვენია) საგულისხმიეროა, მეტის მეტად საგულისხმიერო: რამოდენიმეჯერ **დაკვირვებით** წაუკითხავს ჩემი ფელეტონები და ვერ შეუმჩნევია, თუ რა მსურდა მე და რა მივიღე რეზულტატად. 13 ფელეტონში ყოველ ფეხის გადადგმაზე ვსწერ რომ **ჩემი მიზანია გამოვარკვიო და ობიექტიურად გადმოვსცე მარქს-ენგელსის ეროვნული პოლიტიკა**.

წერილს საერთო სათაური აქვს: „მარქს-ენგელსის პოლიტიკა ეროვნულ საკითხში“. ყოველი ცალკე თავის სათაურიც ამ საკითხს ეთანაბრება დასკვნებში, ყოველი ცალკე თავებში ეროვნული პოლიტიკის გარშემო ტრიალებს, ამ კითხვას ვეხები არსებითად და ის შეადგენს ჩემი წერილების მთავარ საგანს და მის ძირითად შინაარსს, ამის შემდეგ ოპონენტი რამოდენიმეჯერ დაკვირვებით“ კითხულობს ჩემს ფელეტონებს და მიუხედავად ამასა კატეგორიულად აცხადებს ყოველ ფელეტონში სანდონი მარქსიზმისა და სოციალ-ფედერალიზმის დოქტრინებისა და მსოფლმხედველობის რევიზიას შეუდგა თავის წერილებშიო. საგულისხმიეროა, აუცილებლად საგულისხმო.

აღსანიშნავია ერთი ფაქტიც; როგორც თვით აცხადებდა ჩემი ოპონენტი, მის წინაშე მდიდარი მასალაა გადაშლილი საერთოდ ნაციონალური პრობლემისა და კერძოდ მარქს-ენგელსის ნაციონალური პოლიტიკის გარშემო; სანდონი სწორედ ამ საკითხების შესახებ სწერს თავის ფელეტონებში და ისინი შეადგენენ მისი წერილების დედა შინაარსს მთავარ საგანს; მიუხედავათ ამისა, ამაღლობელს თავის ხურჯინში თავმოყრილი მასალები ნაციონალურ საკითხის შესახებ არ ადგება მოპირდაპირესთან საკამათოდ (სიტყვა-სიტყვით: „ჩემს მოპირდაპირესთან ეს მასალები არ გამოდგება“ (526). მეორეს მხრით, სანდონი არ სწერს მარქსიზმისა სოც. ფედერალიზმის დოქტრინების შესახებ, თავის 13 ფელეტონში არ შედგომია ამ მსოფლმხედველობათა რევიზიას და (მან მხოლოდ ობიექტიურად გადმოსცა მარქს-ენგელსის ეროვნული პოლიტიკა) ამიტომ ცხადია არც დასკვნები მოუცია ამის შესაგებ; მიუხედავად ამისა, მამაცი ოპონენტი აქ „იჭრება საკითხის სიღრმეში“. სასაცილოა განა?

ასეთია ჩვენი „წესიერი“ ოპონენტი.

ჩვენ ვურჩევდით მას კიდევ რამოდენიმეჯერ წაეკითხა ის ფელეტონები, რომელსაც არჩევდა, შეიძლება ახალ-ახალი რამეები აღმოაჩინოს თავისებურად.

მაგრამ მუდამ რომ უნაყოფოდ არ ჩაუაროს, მე მინდა ამ წერილში გამოვსთქვა გაკვრით, მეტად სქემატიურად ჩემი აზრი სოციალ-ფედერალიზმის დოქტრინის, როგორ სოციალ-პოლიტიკური მოძღვრებისა და მსოფლმხედველობის შესახებ.

ყოველი პარტიული მოძღვრება, დოქტრინა შესდგებოდა ორი უმთავრესი ელემენტისაგან: 1) ის ეყრდნობა რომელიმე გარკვეულ ფილოსოფიურსა და სოციოლოგიურს სკოლას, მიმართულებას, და ამ რიგად გარკვეულ მსოფლმხედველობას აღიარებს ისტორიული ცხოვრების ვითარებისა და მისი კანონების შესახებ; 2) მეორეს მხრით, ის გვაძლევს იმ სოციალ-პოლიტიკურ იდეალებს, მიზნებს, რომელსაც ეს მოძღვრება ემსახურება, და იმ გზებსა, საშუალებებსა და მეთოდებს, რომლითაც ეს პარტია ცდილობს თავისი მიზნების განხორციელებას.

ეს არის პარტიული პროგრამა, როგორც მკითხველმა დაინახა, ჩემს წერილებში („მარქს-ენგელსის პოლიტიკა ეროვნულ საკითხში“) მე არ შევდგომივარ სოციალიზმ-ფედერალიზმის დოქტრინის ამ ძირითად კითხვების რევიზიას. ძველებისგან გადმოცემული პროგრამა კი აუცილებლად კარდინალურს რევიზიას, საფუძვლიანს შესწორებებს მოითხოვს.

პირველად ორიოდე სიტყვა ჩვენი ფილოსოფიური სკოლის შესახებ. მე ვამტკიცებ, რომ ძველებს არავითარი ასეთი სკოლა არ მოუციათ და ეს საკითხი ღიათ იყო დატოვებული: რომელიც სურდა იმ სკოლას აირჩევდა პარტის წევრი. დამთავრებული, გამოკვეთილი ფილოსოფიური სკოლა ჩვენ არ გვქონია და 1907 წ. შემდეგ ნაკლებად ცდილან ასეთი რამ შეექნა 1907 წ. მესამე დამფუძნებელმა პარტიულმა კრებამ შეგნებულად უარყო რომელიმე სკოლის მიკერძოება და ამის შესახებ ისტორიული დოკუმენტი არსებობს. ეს დადგენილება მრავალმა პარტიულმა ამხანაგმა არ იცის და ამიტომ მას ვრცლად მოვიყვან აქ. არა ლეგალურად გამოცემულ ანგარიშებში ვკითხულობთ, რომ პარტიულ პროგრამას განხილვის დროს, კამათი უმთავრესად ორის საკითხის გარშემო ტრიალებდა: 1) უნდა ჰქონდეს პროგრამის შესავალს პოლემიკური ხასიათი, თუ არა? 2) აუცილებელია თუ არა რომ პოლიტიკური პარტიის პროგრამა მტკიცედ განსაზღვრულ ფილოსოფიურ მსოფლ-მხედველობაზე იყოს დამყარებული. პირველი საკითხის გადაწყვეტას დიდი ლაპარაკი არ გამოუწვევია—ყოველი პროგრამისა დადებითი ხასიათი უნდა ჰქონდეს და არა პოლემიკური, როგორც ეს წარმოდგენილ პროგრამის პროექტს („პირველ პროექტს“—ს. დ.) სჭირს,... რადგან უმრავლესობა ამ შეხედულებისა აღმოჩნდა, 3. კრებამ დაადგინა წარმოდგენილ პროექტის შესავალის შეცვლა. ამ საქმის ასრულება მიენდო იქვე არჩეულ საგანგებო კომისიას...

„კომისიის მოხსენების განხილვის დროს ზოგმა ამხანაგმა ის აზრი გამოსთქვა, რომ შესავალში უთუოდ უნდა იყოს კრიტიკა არსებულ წესწყობილებისა და ამ კრიტიკიდან უნდა გამომდინარეობდეს პროგრამის დებულებანიო. და სწორედ აქ ატყდა კამათი იმ მეორე საკითხის შესახებ, აუცილებელია თუ არა, რომ პოლიტიკური პარტიის პროგრამა ერთს მტკიცედ განსაზღვრულ ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაზე იყოს დამყარებული. კომისიის

*) არ. ჯორჯაძე ერთს წერილში ამბობს: გ. მაიაშვილის ჩვენს მიერ განხილული „წერილი საზოგადო მოღვაწეთადმი“ (1881 წ.), ისტორიულ მატერიალიზმის საფუძველზეა დამყარებული, თუმცა ამ წერილის „ეკონომიკა“ მარქსისტული ხასიათის არ არის. მარქსისტული ისტორიული ფილოსოფია, ხოლო არა—მარქსისტული „ეკონომიკის.

ალიარება ხშირი მოვლენაა ჩვენს მწერლობაში. ამ ხასიათისაა ლალის (ლასხიშვილი) ნაწერები პირველი პერიოდისა. მეორეს მხრივ კი, არიან ჩვენში იმისთანა მწერლებიც, რომელნიც ეკონომიურ მატერიალიზმის თეორიას უარყოფენ, ხოლო აღიარებენ რამოდენიმეთ მარქსისტულ ეკონომიკის. ფხას (ი. ფანცხავა) წერილები ამ ხასიათისაა“. (იხ. მისი მეორე წიგნი—59—60). თვით არჩილი უკანასკნელ შეხედულებას იცავდა. ს. დ.

# იტალიის სოციალისტურ პარტიაში

იტალიის სოციალისტურ პარტიის ცეკამ პროვოკაცია გასწია კომინტერნათ განხეთქილების ჩამოსაგდებათ. უკვე იმ მომენტში, როდესაც სოციალისტურ პარტიიდან გამორიცხულ იქმნენ ამხ. სერრატი და „პაჯინე როსსეს" რედაქციის ოთხი წევრი, ნათელი გახდა, რომ ამით ველლსა და ნენის casus belli-ს შექმნა სურდათ კომინტერნთან.

კონფლიქტის დაჩქარებას ხელი შეუწყო შემდეგ გარემოებამ: შრომის კონფედერაციამ თავის უკანასკნელ თათბირზე მილანში დაადგინა შესცვალოს თავისი ტაქტიკა ფაშისტურ მთავრობისადმი და მასთან თანამშრომლობის გზაზე დადგეს. ამის შემდეგ, დაუყონებლივ, სოციალისტურ პარტიის ცეკამ გამოიტანა დადგენილება კომინტერნთან ყოველივე დამოკიდებულების შეწყვეტის შესახებ.

სოციალისტურ პარტიის ცეკა განაგრძნობს იმის მტკიცებას, რომ პარტიის პროგრამათ რჩებოდა და რჩება (?) კომინტერნის პროგრამა, რომ ცეკა წინაალმდეგ არ მიდის პარტიაში კომინტერნის თანამგრძნობ პარტიების შემოსვლაზე ორივე პარტიის (სოციალისტების და კომუნისტების) წარმომადგენელთაგან; თითქოს ყველა მთავარ კითხვებზე უთანხმოება არ არის; მიუხედავათ ამისა განხეთქილება მაინც გახდა ცხადია, რომ ბატონი ველლა და ნენი არა გულწრფელად მოქმედებდენ.

საბაბი განხეთქილებისათვის ძლიერ იოლად იქნა მონახული პირველი ის, რომ თანხმდებოდენ რა შორეულ კომისიების შექმნაზე, თავიანთთვის უფლებას მოითხოვდენ ასეთი კომისიის შესაქმნელად სხვა „კლასიურ ორგანიზაციებთან" და ამრიგათ არარა ხდებოდა კომუნისტებთან კონტაქტის აზრი; აქ საქმე არა ნაკლებ კომუნისტურად იყო დასმული. კომინტერნი წინადადებას იძლევა არსებული გამოცემა „პაჯინე როსსე" დატოვებულ იქნეს იმავე სახელწოდებით და რაც პარტიის ცეკასთვის გადაცემული იმ პირობით, რომ ჟურნალის რედაქციაში გამორიცხული რედაქტორებიც ჩაირიცხებიან. ცეკა კი მოითხოვს „პაჯინე როსსეს" (წითელი ფურცლები) გამოცემის შეწყვეტს ახალი ჟურნალის გამოცემას „რევისტა სოჩიალისტას" (სოციალისტური მიმოხილვა) სახელმწიფოთ, რომლის რედაქციაში შეველენ „ზოგიერთი წევრებიც ახლანდელ „პაჯინე როსსეს" რედაქციისა. ამას გარდა კომინტერნი აღნიშნავს, რომ სოციალისტურ პარტიაში ფრაქციული ბრძოლის შეწყვეტის მიზნით საჭიროა ცეკას შემადგენლობაში ჩარიცხულ იქნენ ახლანდელი ოპოზიციის წარმომადგეეელნი სერრატი და მაფფი; მაგრამ ცეკა, ამოფარებული პარტიულ წესდებას, რომლის შეცვლა თითქოს მხოლოდ კონგრესისი დადგენილებით არის შესაძლებელი, დაჟინებით უარყოფს კომინტერნის წინადადებას, ხოლო კონგრესის მოწვევაზე კი არ თანხმდება.

როგორია განხეთქილების ნამდვილი მიზეზები? სოციალისტურ პარტიის ცეკაში კომინტერნის პირ და პირ მოწინააღმდეგენი სხედან, რომელთაც ეშინიათ ბრძოლის რევოლიუციონურ მეთოდების და ცდილობენ რევოლიუციონურ ფრაზეოლოგიის შეთავსებას ფაშიზმის გზით შეგნებულ სირულთან. მათ სურთ რაც შეიძლება ჩქარა და სავსებით გამოიჯნონ ფაშიზმის მიერ დევნილ კომუნისტებიდან. ვილლა და ნენნი სიკვდილ სიცოცხლის საკითხათ თვლიან ფაშიზმის თვალში „რეალიზაციის მოხდენას". მაგრამ ამის შესახებ რასაკვირველია აშკარად არ ლაპარაკობენ, რადგან ეს მასსებისაგან ჩამოშორებას მოასწავებდა. აი, სად უნდა ვეძიოთ განხეთქილების მთავარ მიზეზი. სურდათ განხეთქილების მთელი პასუხისმგელობის სერრატისა და მაფფისათვის თავზე მოხვევა, მაგრამ ეს უკანასკნელნი სოციალისტურ პარტიიდან სწორედ იმიტომ იქნენ გამორიცხულნი, რომ ისინი გულწრფელად ემებდენ იტალიის სოციალისტური პარტიის კომინტერნთან დაახლოების გზებს.

საკმარისია ერთი-ორი მაგალითის მოყვანა იმის დასამტკიცებლად, რომ სოც. პარტიის ცეკა მუდამ ისეთ ტაქტიკას აწარმოებს, რომელიც არას შემთხვევაში არ შეიძლება შეთანხმების ცდათ ჩაითვალოს.

სერრატი პროტესტს აცხადებს თავის გამორიცხვის წინაალმდეგ, მაგრამ მისი პროტესტი, რომელსაც 1 აგვისტო აზის თარიღად, მხოლოდ 29 აგვისტოს ქვეყნდება, ადგილობრივი ორგანიზაციები ძლიერ აზმაურებული არიან. სერრატის ჯგუფის გამორიცხვის გამო; ტრიესტი, ლუგონს, სამარატე მოითხოვენ არაჩვეულებრივი კონგრესის მოწვევას ხოლო ცეკა კი უპასუხებს რომ კონგრესები ისედაც ბევრი იყო.)

5 ენკენისთვეს ცეკა ცირკულიარს უშვებს, რომელშიაც წინადადებას იძლევა ადგილობრივ ორგანიზაციებს გამორიცხონ ყველა ისინი, რომელნიც ამა თუ იმ სახით სოლიდარობას აცხადებენ სერატისა და მაფფის თან და რომელნიც კონგრესის მოწვევას მოითხოვენ ან რაიმე მხრივ პარტიის ცეკას კრიტიკას უწევენ.

ყველაზე უძნელესი მომენტი პარტიის ცეკასთვის იყო კომინტერნთან განხეთქილების ფაქტის გამოქვეყნება. მდგომარეობის სერიოზულობის გამო ლენნის დაევალა გაზეთ „ავანტის" შესაფერი ნომერის დამზადება ეს ნომერი შემდეგი სახით იქნა გამოშვებული: კომინტერთან განხეთქილების ამბავი შეპარებულ იქნა მთელ რიგ წერილებში, რომელნიც გარეგნულად მეტად რევოლიუციონური იყვნენ: წერილი შრომის კონფედერაციის რეზოლიუციის წინაალმდეგ მუსსოლინთან თანამშრომლობის შესახებ, წერილი ჰამბურგის კონგრესისა და ამსტერდამის ინტერნაციონალის წინაალმდეგ, დრაგონის საწინაალმდეგო წერილი, პოლიტიკურ ტერორისა და პოლიტიკური ემიგრაციის მსხვერპლებისადმი მიძღვნილი წერილი, დატუსაღებულთა ამნისტიის მოთხოვნილების წერილი... ყოველივე ეს პირველ გვერდზე. ასეთი სოუსით მიართვა ცეკამ ორგანიზაციულ სოციალისტურ მასსებსა და იტალიის პროლეტარიატს კომინტერნთან განხეთქილების ამბავი.

ამ ჟამათ პარტიის ცეკამ მობილიზაცია უყო მთელ პარტიულ ძალებს ყველა ფრონტებზე, რადგან პარტიის ახლანდელი ბელადები გრძნობენ, რომ პროლეტარული მასსები გულგრილად შეხვდებიან მათ გამცემლობას. ამასთან ერთად ყიდიან პარტიულ ქონებას „ფონეტის" გამომცემლობისას, რომელიც მუშების გროშებით არის შექმნილი: მიყიდეს კაპიტალისტთა ჯგუფს 2.200 ათას ლირად. გასაგებია, რომ სოციალისტების რიგებში პროტესტებში ტალღა აღიმართა ცეკას პოლიტიკის წინაალმდეგ. ოპოზიცია სოციალისტურ პარტიის შიგნით იზრდება, და სერრატი—მაფფის ჯგუფი განაგრძობს მუშაობას, რათა ფარდა ახადოს ახლანდელ ცეკას გამცემლურ პოლიტიკას.

„იზვესტია".

# როზა ლუქსემბურგის ძეგლს

ღამის სითალხეს რომ შეარხევს მთვარის შხეფები,
ქუჩის სცენები აიხატვის, ბროლის ფარდებით,
ფარჩის მანტიებს მოიხდიან დროთა შეფები,
და ფერმკრთალ ქალაქს დაფარავენ გირლიანდები
ამ დროს ჩავილი რუსთაველით და მოედანით,
ისევ ხარხარი დონჟუანების .. და ჯენტმენობა...
მსურს ამოვკვეთო სასიკვდილო სიცოცხლე დანით
და დავარისხო გამთბარ გრძნობას ცივი გონება.
მაგრამ მარტო ვარ, მარტოდ მარტო და ობოლ
სულში
აქვითინდება უამრავი ფერთა სხივები.
მოვალ ჩუმად და ჩაგეკვრები გაყინულ გულში,
რომ მოგახვიო სურნელება ნაზი იების.

ქუჩა სავსეა ხალისით და საფირონებით.
შელებილ თვალებს ასე უყვარს მთვარის მაგია.
ვუცდი და ჩვენთან არვინ მოდის გაპიროვნებით,
სიცილ—ხარხარში ხშირად ისმის: „ოჰ, რა კა-
რვია"...
რა არის კარგი?—ყველაფერი თუ არაფერი?...
წონა—ზომაში ვინ მოიგებს, ან ვინ დაჰკარგავს?
ან და რამდენჯერ აცრემლდება თვალი ნაფერი...
დღეს ყველაფერი პანორამას ასე წააგავს.

სული მაარტოობს.. და ვკანკალებ მთელი სხეულით.
ამ უდაბნოში ვერვან ვნახე, რომ ვანდო ფიქრი.
და შენს სიცივეს შეუერთე ბედი წყეული,
და შენს სახეზე ვიყინები, ვით თოვლის ფიფქი.

შენ შეგიძლია იამაყო უსაზღვროებით.
შენი სახელი მსოფლიოში გაიკვეთება.
ჩემში იზრდება ყრუ ქვითინი ნაზ-სათნოებით,
დარიალს იქით ჩემი დილა არ გათენდება.
ქართლოსიანმა ქართულ სახით ასე ამნაზა
და მსოფლიოსკენ ჩემი სული მიქრის ფერებად...
ახ, თუ ჩემზე კვლავ გამართლდება ძველი ანდაზა,
სჯობს გარდავიქმნე ცეცხლის ტბაში შავ მოჩვე-
ნებად.

მითხარი რამე, რომ ავინთო ხელში ჭაღები
და გამოვქანდე მსოფლიოსკენ ჩემი წალებით..
დარიალის კარს მე თვით გავხსნი ქართულ თა-
ღებით,

ო, მე ქალი ვარ... და ამ ღამის ნაზ სილურჯეში
აქვითინდება მწუხრის ფერი სული შავებში.
ათასი სევდა დაიკვნესებს გულის უჯრედში.
ათას ოცნებას ვასაფლავებ ღამის თვალებში.
მოვდივარ შენთან, და ვკანკალებ მთელი სხეულით.
ამ უდაბნოში ვერვინ ვნახე, რომ ვანდო ფიქრი.
და შენს სიცივეს შეუერთე ბედი წყეული,
და შენ სახეზე ვიყინები, ვით თოვლის ფიფქი.
მინდა შენს ტუჩზე ამოვნასკვო სიცოცხლიო რგოლი.
ქუჩის ხარხარში მიმთვრალეა და ალკოგოლი.

**ლიუდმილა მეგრელიძე.**

# მშრომელი ხალხის სული უფრო გამძლეა

ინდივიდუალობა განუკვეთლობას აღნიშნავს. ამ სიტყვით უფრო იგულისხმება სულის ვითარება როგორც კერძო ადამიანის, ისე ხალხისა. სულის ვითარება კიდევ გონებრივ ზნეობრივ რაობად მოგვევლინება და თუმც გარეშე, ბუნებრივი გარემოების ნაყოფია, მაინც თავის თავად ისეთი, რაც არ იხილება, ე. ი. რასაც ხელი არ მოევლება. განხილვა მისი გონებით სწარმოებს.

კაცი, როგორც ცხოველი არსება, სასწაულია. სამართლიანად უწოდებიათ მისთვის ქმნილების გვირგვინი, მაგრამ [illegible] როგორც სულიერი მოვლენა კიდევ უფრო დიდია. რამ შექმნა სიცოცხლე, რა და რა ფიზიკური გარემოებისაგან შეიქმნა [illegible] მეცნიერებისათვის მიუწვდომელი არ არის. თუ ერთი კაცი არა ჰგავს მეორეს, ერთი ერი უფრო არა ჰგავს მეორე ერსა, ხოლო თუ მსგავსია ვისიმე, მხოლოდ თავისი თავის მსგავსია, ე. ი. ნაყოფია თავისი გარემოებისა, სადაც გაჩენილა, მაგრამ თვალთათვის უჩინარი დარჩენილა, როგორც სულიერი მოვლენა.

რა სარკვირველია, არსებობისათვის ბრძოლაში სუსტი ცხოველი ისპობა, თავის დაცვის უნარი ისეთი მტკიცე არა აქვს, რომ გაუძლოს უძლიერეს ცხოველს, რომელიც მძლავრი, მოძალადეა. ერიც ასევეა. როგორც სულიერი, ცხოველი ორგანიზმი იბრძვის, რომ განუკვეთლობა შეინარჩუნოს არა მარტო ფიზიკური და სამკვიდრებელი, არამედ ზნეობრივ-გონებრივი, ე. ი. თავისი ფსიხიკა, მაგრამ ისიც ისპობა უფრო ძლიერისაგან, თუმცა თავ დაცვის ღონის ძიება მეტი მოეპოება, ვიდრე კერძო კაცსა. ბუნების მეცნიერება ცხად ჰყოფს, რომ ცხოველ ორგანიზმებს თავის დაცვის უნარი დიდი აქვთ, ასე რომ პატარები კრებულადაც გამოდიან დიდების წინაალმდეგ, მაგრამ ზოგჯერ იძლევიან მაინც უფრო ძლიერისაგან და გადაშენების გზას დაადგებიან. დიდებსაც სწვევიათ ასეთი ბედი, ალბად, გამძლეობისთვის საჭირო ნიჭის უქონლობით. აღარ არის დღეს მამონტები, იხტიოზავრები და სხვა ურჩხული ცხოველები, რომელიც ოდესღაც ყოფილა. აღარ არიან დღეს ეგვიპტელები, ფინიკიელები და რომაელები, რომელნიც მა' ჟამსა შინა ქვეყნის მკვიდრთა შორის ირჩეოდნენ დიდი კულტურით, დიდი სიმდიდრით, დიდი ძალღონით.

ქართველი ხალხის ტიპი, ქართული ეროვნული ინდივიდუალობა თუ მეტის არა ოცდა ათი საუკუნის კულტურული ცხოვრების ნაყოფია. ამას ვამბობ ეჭვ მიუტანელად, რადგანაც ებრაელთა მწერლის მოსეს მიერ ნაანდერძევ ხალხთა ნუსხაში იხსენებიან მესეხ და თუბალკაინ, რომელნიც ორიენტალისტების მიერ ერთხმივი დადასტურებით არიან იგივ მესხები და იბ (ვ) ერ-ჰანები, იმ დროს უკვე კულტუროსნები. რათგანაც სცოდნიათ ჭედვა რკალისა და რკინის ყოველგვარი იარაღისა (ოსტერვალდის ვერსიონი, დაბადება თავი 4, მუხ. 22. ფრანგ. ტექსტი). მოსე კი ქრისტეს დაბადებამდე მეჩვიდმეტე საუკუნეში სცხოვრობდა. ხეთი იყო წინაპარი მესხებისა, რომელნიც ხეთის ასურ ბაბელის წინაალმდეგ ბრძოლის დროს მუსხებად იწოდებოდნენ. მოიპოება დღეს ერთი ხეთური ლურსმული წარწერა, რომელიც ქრისტეს წინ მეცამეტე საუკუნეს ეკუთვნის და შეიცავს ერთ მეტად საგულისხმო ცნობას: ხეთისა და ეგვიპტის მეფენი ხელშეკრულებას სდებენ დამორჩილებული ქვეყნების დაყოფისთვის გავლენის სფეროებად.

ქართველი ხალხის ტიპის შექმნაზე უეჭველად გავლენა ჰქონია ყვითელ კანიანთა მოდგმას, რომელიც ლეტურნოს მოწმობით მცირე აზიის ტერიტორიაზე ყოფილა მცხოვრები (იხ. მისი ფრანგ. ისტორია სარწმუნოებრივ ევოლუციათა), რასაც სხვათა შორის ამტკიცებს ზოგჯერ ლექსიკური ერთობა ყვითელ კანიანათ და იაფეტიან ქართველთ ენებისა. იაფეტიანთ მოდგმას მცირე აზიაში განუცდია საშინელი შედეგი ნადირ არიელ ხალხთა შემოსევისა, რასაც უმსხვერპლებია ხეთის და ურ-ჰალდეს დიდებული ცივილიზაცია, სამაგალითოდ გადაქცეული ქრისტეს წინ მეათე საუკუნითგან მცირე აზიელ ბერძენთ ახალშენებიათვის. როგორც ვიცით, ჰომიროს **ილიანი** (ბერძ. ილიას) მცირე აზიელმა

---

შეხედულებით, შესაძლებელია, რომ სოციალისტები სხვა და სხვა გზით მივიდენ სოციალიზმამდის. ამ შეხედულებით ხელმძღვანელობდა კომისია როცა მან უარჰყო საჭიროება ვრცელი კრიტიკისა პროგრამის შესავლისათვის: ასეთი კრიტიკა აუცილებლად გულისხმობს ერთ-ერთ ფილოსოფიურ სკოლის საფუძველზედ დროშას და ეს გარემოება კი პარტიას ავიწროვებს, დოგმატურ ხასიათს აძლევს.

**კოლხიდელმა** სხვათა შორის სთქვა: „კომისიის მიერ წარმოდგენილ მოკლე შესავალში დახასიათებულია სოციალიზმი, სოციალისტური წესწყობილება. ვფიქრობ, რომ არც ერთი ჩვენგანი არ იქნება იმ დახასიათების ძირითადი პრინციპების, მუხლების წინაალმდეგი. ეს პრინციპებია რომ გვაერთებს ყველას იმის მიუხედავად, თუ რომელ ფილოსოფიური სკოლას ეკუთვის კერძოპირი.

ამ ძირითად მუხლებს მოჰყვება სადღეისო პროგრამა. არც ამ პროგრამის წინაალმდეგი იქნება ვინმე. ამ გვარად, ვინც მიიღებს მოკლე შესავალს. ძირითად პრინციპებს და სადღეისო პროგრამას, პრაქტიკულ მუშაობის დროს ამ ფარგლებს ვერ გადასცილდება და **ამ ფარგლებში შეიძლება მოთავსდეს სხვა და სხვა ფილოსოფიურ მიმართულების მიმდევარი**. ამ გვარი პროგრამა უფრო ნაყოფიერი იქნება, რადგანაც აქ უფრო ყურადღება პრაქტიკული მხარეებს აქვს მოქცეული. **პოლიტიკური პარტია ხამოქმედოთ გამართული ორგანიზაციაა და არა ფილოსოფიური ხკოლა.**

3. კრების დიდმა უმრავლესობამ მიიღო კომისიის წინადადება"... (იხ, მე-3 (დამფუძნებელი) პარტიული კრების ანგარიში. 2—7 ოქტ. 1907 წ. გვ 34—5—6, 1907 წელს. ხაზი ყველგან ჩემია ს. დ.)

როგორც ვხედავთ, პარ. კრების მიერ უარყოფილია რაიმე გარკვეული ფილოსოფიურ სკოლის აღიარება პარტიისათვის, და რაც არ არის მისი რევიზიის მოხდენა მე არ შემეძლო.

რაც შეეხება ძველ პარტიულ პროგრამას, აქ ისეთს ანარქიზმთან გვაქვს საქმე, რომ იგი დიდ ცვლილებას მოახდენდა და ეს უკვე ჩაიდინა ჩვენი პარტიის ყრილობამ 1921 წელში. ჩვენ დღეს პროგრამა არა გვაქვს; გვაქვს მხოლოდ 1921 წ. მიერ გამომუშავებული პლატფორმა, რომლითაც შეტანილი იქმნა რადიკალური ცვლილებები ძველს პროგრამაში.

**ის გზა და ხაშუალებანი, მეთოდები** რომლითაც ძველები ფიქრობდენ სოციალიზმის განხორციელებას დღეს სავსებით აღარ გამოდგება: ბევრი მათგანი მოითხოვს სავსებით უკუგდებას, დანარჩენი კი შევსებასა და შესწორებას. ძველი პროგრამა მოითხოვდა დაცვას „პრინციპების საზოგადოებრივობისა, პარლამენტარიზმისა და მინიმუმ პროგრამის არსებობასო". (გვ. 33).

დემოკრატიზმი, პარლამენტარიზმი, მინიმუმ პროგრამის პრინციპები ჩვენ მიერ უარყოფილია, როგორც უვარგისი გზა და მოკლებული საშუალება კომუნიზმის განხორციელების საქმეში.

ნაცვლად ამისა ჩვენ ვიღებთ გარდამავალ პერიოდის სოციალ პოლიტიკურ ფორმულებს: წარმოების ნაციონალიზაციას, დიქტატურასა და საბჭოთა სისტემას. ამ პრინციპებზე აგებული პარტიული პროგრამა **სულ სხვა ხახეს დებულობს**, ვინემ ამას გვაძლევს ძველი პროგრამები. ჩვენი წინაპრები მოღვაწეობდენ სულ სხვა **ისტორიულ პერიოდში** და ამ პერიოდთან შეფარდებით აგეს თავიანთი პროგრამა. ისტორიული ცხოვრების ვითარებამ ძირიანი გარდატეხა მოახდინა ცხოვრებაში და ახალ მოვლენებს მისცა გასავალი. ჩვენ დღეს ვსცხოვრობთ კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაგან გარდამავალ პერიოდში; ჩვენი გზა და საშვალებანა სოციალური ცხოვრების ტრანსფორმაციის მოსახდენად ბევრ რამეში რადიკალურად განსხვავდება ძველების მოღვაწეობისაგან.

ამ მხრივ ჩვენი მოქმედების გამოსავალი წერტილი და მთავარი სახელმძღვანელო დებულებება გამოხატულია 1921 წ. ყრილობის პლატფორმაში და მე მას სავსებით ვიცავ. სავსებით ვიცავ იმ ეროვნულ პოლიტიკასაც, რომელიც იქ არის გატარებული და დასახელებული, და იქ წამოყენებულ დებულებებით ვიხილავ საკითხს. მე ნებას მივცემ ჩემს თავს აქ ვრცლად მოვიყვანო ის განმარტებები და ამონაწერი, რომელიც მე გაუკეთე ჩვენ რეზოლიუციას.

„1921 წლის ნოემბრის თვეში ჩვენი პარტიის პირველმა ყრილობამ განიხილა რა არსებულ ინტერნაციონალების პლატფორმები, დაადგინა:

**„დღევანდელ პირობებში ერთად ერთი უძლიერესი საერთაშორისო რევოლიუციის ავანგარდი არის მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი, რომლის პლატფორმა მიხაღებია და ხახარგებლო როგორც დაჩაგრულ ერების, იხე კლახებისათვის"**. დადგენილების მეორე მუხლში ყრილობას ეროვნულ საკითხის შესახებ შეჰქონდა თავისი შესწორება, ამაზე ცოტა ქვემოდ. მეორე ინტერნაციონალის შესახებ ყრილობის რეზოლიუცია ამბობდა: **„სოციალ-იმპერიალიზმი და მთელი მეორე ინტერნაციონალიხ პლატფორმა: დაჩაგრულ ერთა და კოლონიების ხასიცოცხლო ინტერეხების წინაალმდეგ არის მიმართული და ამაგრებს დრომოჭმულ კაპიტალიზმის ბატონობას"**.*)

რას ამბობენ ეს რეზოლიუციები? განა ისინი ჩვენ არ გვეუბნებიან გარკვევით, რომ ყრილობამ დიდი ნათესაური კავშირი პოვა კომინტერთან და თავისი ერის ბედი გადააწნა თანამედროვე კომუნისტურ მოძრაობას? ყრილობის დადგენილება ერთს ღაღადებს გარკვევითა და ნათლად: **დაჩაგრულ ერებიხა და კლახის განთავიხუფლება შეხაძლებელი არის მხოლოდ კომინტერნის ხაშუალებითა და მიხი პლატფორმით.** ასეთი პოლიტიკური ხაზის აღება ხელს არ უშლიდა ყრილობას თავისი მხრით შესწორება შეეტანა კომინტერნის პლატფორმაში ეროვნულ საკითხის შესახებ. ეს შესწორება გამოიხატა მხოლოდ ერთს მუხლში და ერთ მომენტში: „ყრილობას საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ მე 3-ზე ინტერნაციონალს ფედერაცია მიაჩნია გარდამავალ ფორმად ყველა ერების მშრომელთა სრული გაერთიანების შესაქმნელად, რაც მიუღებულია სოციალიზმ ფედერალიზმისათვის" (იქვე).

როგორც მკითხველი ხედავს, ყრილობას მთელი თავისი სიმძიმით კომინტერნის პლატფორმაზე სდგას და მხოლოდ ფედერაციის გაგების, უკეთ, ერების მშრომელთა სრული მთლიანობის შექმნის საქმეში აცხადებს სხვა აზრს. ამით ყრილობამ გამანადგურებელი მახვილი ჩასცა ჩვენს მოწინაალმდეგებს და დაადგინა, რომ კომინტერნის პლატფორმა საერთოდ მისაღები და სასარგებლოა ერებისა და კლასებისათვის". (485). *)

ამის შემდეგ ვიკითხოთ, დაუმახინჯე მე პარტიის ნაციონალური პოლიტიკა, რასაც მე მაწერს ამხ. ამაღლობელი? რასაკვირველია, არა. ხოლო მან კი არა საკადრისი საშუალება გამოიყენა, მკითხველს **დაუმალა**, რომ მე პარტიული რეზოლიუციები მოყვანილი მყავდა სავსებით და **ვიცავდი მას მთლიანად**, ხოლო თვითმართლწერა მესამე ციტატა და დასკვნა: ამხ. სან—დონმა დაამახინჯა პარტიის ნაციონალური პოლიტიკაო. ესეც კამათია არა?

გავათავეთ. მკითხველმა ნათლად დაინახა, თუ როგორი არა სასურველი პირობები შექმნა ამხ. ამაღლობელმა კამათის წარმოებისათვის. მან დაინახა რომ ოპონენტმა 1) შეგნებულად გვერდი აუარა მთავარ საკამათო საგნებს და არ მოგვცა გარკვეული პასუხი იმ კითხვებზე, რომელიც ვრცლად იყო განხილული ჩემს წერილებში. 2) წინასწარი მიზნით გადაამახინჯა ჩემი ციტატები და ამგვარი სახით, ხელოვნურად დაუპირისპირა ერთი მეორეს.

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ასეთს ატმოსფერაში კამათის წარმოება მეტად ძნელი და არა სასურველია კამათი მაშინ არის მიმზიდველი, მნიშვნელოვანი და სასიამოვნო, როდესაც ორივე მხარე დაინტერესებული არის საკამათო საკითხის გამორკვევითა და ნათელყოფით. ჩემს ოპონენტში ეს მე ვერ დავინახე.

**ხან—დონი.**

---

*) იხ. ყრილობის რეზოლიუცია ინტერნაციონალის შესახებ „ტრიბუნის" № 68 1921 წ.

*) მკითხველმა აგრეთვე, თვით შეაფასოს ამხ. ამაღლობელის უსაფუძვლო დებულება თითქოს, სან—დონი... **„არც ერთი ხტრიქონით, არც ერთი ხიტყვით** არ გვეუბნება, რომ ჩვენი პოლიტიკური მსოფლმხედველობა „სწორად და საღად" სჭრის ნაციონალურ საკითხს" (№ 524) პარტიული ყრილობის რამდენიმე მთავარი რეზოლიუცია მოვიყვანე ეროვნულ პოლიტიკის შესახებ, მოვიყვანე ის დ დავიცავი, ოპონენტი კი გვეუბნება **„არც ერთი ხტრიქონით, არც ერთი ხიტყვით"**. ამაღლობელი, ალბად, ისეთს უზარმაზარ სიტყვებსა და სტრიქონებს გულისხმობს, რომელიც ჩემს 13 ფელეტონშიაც არ ჩაეტევოდა ან ისეთს „სათვალეებს ატარებს, რომელიც ამდენ სტრიქონებს უმალავს თავის პატრონს.

ახალშენელმა ბერძნებმა შექმნეს და სწორედ ეს არის მიზეზი ელინთ და იაფეტიან ქართველთ ზნეჩვეულების საკვირველი ერთობისა. კაცი რომ დარწმუნდეს, კმარა შეადაროს სჯულმრთის შეწირვა ჰომიროს ელინთ და ქართველი მთიულების ფშავ-ხევსურებისა. კოლხეთში ყოფილან ეგვიპტელები, რომელნიც დიოდორ სიცილიელის მოწმობით მეტად არწმუნებდნენ ადგილობრივ მკვიდრთ ასე რომ ერთხელ როცა ეგვიპტელები არ მოელოდნენ: თავს დაესხა იმათ თემის კარელ ამოჭალთა რაზმი და ამოჟლიტა, ხოლო ვინც გადურჩა, გარბოდა.

ძველი იმპერიალისტური სპარსეთის ომები ძველი საბერძნეთის წინააღმდეგ და საქართველოს გადალახვა ჯერ სპარსთა, ხოლო მერმე ქსენეფონტეს და ალექსანდრე მაკედონელის ჯარების მიერ, აგრეთვე ბერძენ რომაელთ ლაშქრობა, რაც არა ერთი ყოფილა ხანგრძლიობით შესანიშნავი და წყარო მათ და მკვიდრთა შორის განუწყვეტელი ბრძოლისა, ცხად ჰყოფს თუ, იაფეტიანთ და მათ შორის კერძოდ ქართველთ გვარ ტომის ხალხნი, რამდენად უნდა შერეულ იყვნენ უცხო ტომელებთან სისხლითა.

ქრისტიანობის დრო კიდევ უფრო რთული იყო ამ მხრით. ქრისტიანე საბერძნეთიც (ბიზანტია) განაგრძობდა ომებს სპარსეთთან საქართველოში თავისი გავლენის მოსაპოებლად ქრისტიანობის გავრცელებით და მფარველობით, ხოლო სპარსეთი ასეთივე გავლენის მოპოებას ცდილობდა ცეცხლ თაყვანისმცემლობის აღდგენით. არაბები, თურქები, ოსები, ყივჩაყები, სომხები, მუღალები, კვლავ—სპარსელები ბლომად მოსულან ჩვენში ზოგი როგორც დამპყრობელი, ზოგი კიდევ როგორც ხიზანი ასე რომ ჩვენი ხალხის არა თუ ენა შეიქმნა უცხო სიტყვებ ნარევი, ანუ მორთული, როგორც ქართლის ცხოვრება ამბობს, არამედ სისხლიცა. მაგრამ ზემო აღნიშნული გარემოება ქართველი ხალხის ეროვნულ ინდივიდუალობას კი არ ჰსპობდა, პირიქით ჰქმნიდა. სად არიან დღეს ის უცხო ტომელნი, რომელნიც ჩვენს ქვეყანაში იყვნენ? ნუ თუ წავიდნენ ისევე, როგორც მოვიდნენ? მართალია, ბევრი წავიდა, მაგრამ ბევრიც დარჩა, ქვეყნის მკიდრად იქცა, მისი ქუდი დაიხურა. რა საკვირველია, ეს ამბავი არ მოხდებოდა, რომ ქართველი ხალხი, როგორც ეროვნული ინდივიდუალობა, ყოფილ იყო უფრო სუსტი, ვიდრე შემოხიზნული ელემენტები.

დღეს ქართველი ხალხის მოდგმა მეტად ნარევია არა მარტო ხორცად, არამედ ენადაც, რასაც ჰმოწმობს ანთროპოლოგია და ენათმეცნიერება, მაგრამ სულად, ე. ი. როგორც სულიერი მოვლენა ერთობ დაწმენდილია იმდენად, რომ ვერავითარ ძალას ვერ შეუმუსრავს, ვერ გაუნიავებია, თუმცა საბედისწერო ჩარხი არა ერთხელ დატრიალებულა მის თავსა. ეროვნული ინდივიდუალობა, ანუ განუკვეთლობა რაც უფრო ძლიერია, როგორც დიდი ხნის პოლიტიკურ-კულტურული ცხოვრების ნაყოფი, მით უფრო მეტი უნარის მქონეა, რომ მის განსაკვეთად მოსული ელემენტები მოსპოს მათი შეთვისებით, თუ არა და აოტოს. მცხეთაში ურიობა მკვიდრობდა თავისი ლევიტებითა, რომელნიც ავრცელებდნენ მონოთეიზმს კერპ და ცეცხლ თაყვანისმცემელ ქართველთა შორის, იქვე იყო აგრეთვე უბანი მოგვთა, სადაც მოგვები, ანუ ცეცხლისმსახურნი ქართველ ხალხს მაზდეიზმს, ანუ არმაზის რჯულსა ასწავლიდნენ, ტფილისში კიდევ მერვე საუკუნითგან მოკიდებული არაბთ ზეხელმწიფობის წარმომადგენელნი იჯდა 1123 წლამდე ასე რომ ერთგვარ კულტუროსან ელემენტსაც წარმოადგენდა ტფილელი არაბობა, როგორც მქონე მწერლობის და ობსერვატორიისა, მაგრამ მათი კვალი პირწმინდად აღგვილა.

ამ ჟამად ჩვენი რესპუბლიკა იზიარებს კიდეც სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მოსულთა შორის განათლებული მუშაკების თანამშრომლობას, ბევრისთვის სახელმწიფოებრივი ცხოვრების ნაციონალიზაციის შემოღებას ვერ გაუკეთებია გული, მაგრამ ისინი ვერ უცქერიან ცხოვრებას ისე, როგორც საჭიროა. იმათ ჰგონიათ, რომ სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას ქართველობა ეხლა იწყებს მომავლის პერსპექტივის და ნამყოს მაგალითის უქონელი. იმათ ჭკუა თვალში აქვთ, გონების თვალით საქმის გახხილვა, ცხოვრების ვითარება კი სავალალოს არაფერს წარმოადგენს. ქართველი ხალხი თუ ძველად ახერხებდა თავისი ბედის გამოჭედვას, ეხლაც ახერხებს მით უმეტეს, რომ ძალა უფლება მისი მშრომელი ელემენტების მიწის და წარმოების მუშათა ხელთ არის.

ეროვნულ ინდივიდუალობას ასეთ ყოფაში თან ახლავს უფრო მეტი უნარი თავის რაობის და ვინაობის დასაცავად.

**პეტრე მირიანაშვილი.**

## მოგზაურობა

### მივხედოთ სოფელს.

**(წერილი ამაშუკეთის თემიდან.)**

31 ივლისს დილის ათ საათზე. ექვსი ამხანაგნი გაუდექით გზას „სასოფლო სამეურნეო აღწერების ჩასატარებლად ძიროლიდგან ამაშუკეთის თემში, სოფელ შრომისაკენ.

ბინდდებოდა უკვე რომ ამაშუკეთის თემის აღმასკომამდე მივაღწიეთ, საშინლად დაღლილნი ვიყავით, ცხენს ბარგი გადმოვხსენით, აღმასკომში დასაბინავებლად, მაგრამ შევიტყვეთ, რომ ჩვენთვის ბინა ამოუჩენიათ, ერთ ერთ მოხუცებულ №-ის ოჯახში. კვლავ—გავსწიეთ წინ, სიბნელეში ავიარეთ მაღალი სერი, და მთლად კვდრებმა მივაღწიეთ მის—ოჯახს. დავბინავდით კარგა მოზრდილ, მუხნარი სახლის, ერთ—დიდ—ოთახში. საცა გრძელი ტახტის სტოლის და სამი სკამის მეტი ავეჯი არაფერი მოიპოვებოდა.

— უკაცრავად რომ, დაიწყო მოხუცმა მასპინძელმა, რომ ასე უდროვოდ მობრძანდით, ვახშამი..

— ოჰ—არა აღარ დავაცალეთ სიტყვის დამთავრება, ჩვენ მოსვენების მეტი არა—გვსურსრა, ჩვენ ყოველივე თანა გვაქვს წამოღებული. ასე რომ ნუ შეწუხდებით.

— რა შეწუხებაა, მხოლოდ ახალგაზდა ხალხი ხართ, დარიდებით ნურაფერზე დამერიდებით.

— მაგაზე აღარ—ღირს ბიძიავ ლაპარაკი, მხოლოდ ეს გვიბძანე, როგორც დროულ ადამიანს გეცოდინება, ამ თემში რამდენი კომლია?

— ამ თემში, სულ—როგორ გითხრათ არ—ვიცი, მხოლოდ ჩვენ აზნაურიშვილები,—ამაშუკელები ორმოც კომლამდე ვიქნებით, უნებურად გამეცინა, მაგრამ თავი შევიკავე.

ეს კუთხე, სულ ჩვენ გვიკავია, გაღმა კი გლეხები დგანან.

მეორე დილას ხალხი სასწავლებელში შეიკრიბა.

— ბევრი აღწერები გამომივლია, მაგრამ ამისთანა აღწერა, მე ჯერ არ—მინახავს. სთქვა ერთმა მოხუცებულთაგანმა.

— საქმეც ეგ არის ჩემი ბაბუა—უპასუხე მე მართალია ამისთანა აღწერები, ყოველ ოთხ-წელი, წადში ხდება, მაგრამ ამისთანა დაწვრილებით, ჯერ—არ ყოფილა, ახლა კი ჩვენ მთავრობას სურს უნაკლოდ გაიგოს, სოფლის ჭირ-ვარამი, რა ულხინს და რა უჭირს მას, და შედარებით წინანდელ აღწერასთან გაიგოს, თუ სოფლის მეურნეობამ რამდენად წინ—წაიწია.

— თქვენ იცით რასაც კარგს უზამთ ხალხს, წარმოსთქვა იგივ მოხუცებულმა, და დააცქერდა თვის ყალიონს, რომელსაც არ—იცილებდა პირიდგან, თვალები ცრემლებით აევსება, რადესაც უყურებ გლეხობას, რომელნიც დაფლეთილ-დაგლეჯილნი, დახეული ქალამნები, და ბევრი კი ფეხშიშველი, სცდანან და ნაკლიანად ლაპარაკობენ თვის ჭირ-ვარამზე. ერთი გლეხი გამოვიძახე ფურცლის შესავსებად.

— რამდენი წლისა ხარ?—მე გახლავარ, და დაფიქრდა არ—ვიცი, დიდი დალამება რომ იყო მაშინ ერთი წლისა ვიყავი. მოდი და იანგარიშე, მთელი 10 წუთი მოუნდი მის გაგებას, თუ როდის იყო დიდი დალამება.

— რა განათლებისა—ხარ,—გისწავლია სადმე?

— არსად.

— წერა-კითხვა" იცი?

— ეჰ" წერა-კითხვისთვის სადა მცალია.

— სასოფლო მუშაობის გარდა. ხელობა ხომ არა ფერი გაქვს?

— თოხნის ხელობა ვიცი.

— სოფლის მუშაობას ხომ არა სტოვებ, ან მთელი წლით ან დროებით?

— როცა გამიჭირდება, მაშინ მოვიკიდებ ხოლმე რამე გასასყიდელს, და სურამში მიმაქვს, თვეში ასე ორჯერ—მაინც, ორ-ორ დღით.

— ცხენი ხომ არა გყავს?

— ცხენი?—და ჩაეცინა.

— ხარები?

— არც ხარები, მოვლა უნდა, ჯერ ყიდვა გიჭირს, იყიდი წელზე ფეხს დაიდგამ და გეშინია ჭირმა არ—მოკლას, ჭირს—თუ გადურჩა და—საჭმელი არ აქვს.

— ძროხა?—არა მყავს არაფერი, პატარა დეკეულას გარდა, ისიც ავათა მყავს და არ ვიცი სახლში მისვლისაც ცოცხალი დამხვდება თუ—არა, ისე ერთი ცხვარი მყავს, და ერთი გოჭი დედიანი, დანარჩენი ჭირმა დამიხოცა.

— ქათამი რამდენი გყავს?

— ქათამი საცა არის, მოსავალი ნაკლები იყო, იმის სიმიდი ვისა—აქვს,—ხამიოდე მყავს.

— ინდაური, ბატი, იხვი? ეგები ჩვენში ნაკლებად არის.

— ფუტკარი ხომ არა—გყავს?

— ფუტკარი სად არი, სამი წელიწადია, თაფლი თვალით აღარ—მინახავს.

— აბრეშუმის ჭია, ხომ არ გყავდა წრეულს?

— ბჟოლა არ—არის და აბრეშუმის ჭია საიდგან მეყოლება!

— გუთანი ხომ არა გაქვს?

— გუთანი რათ გვინდა ამ მთებში, თოხითაც ვერ უდგებით.

— კევი გააქვს? ხარები არა მყავს და კევი რათ—მინდა?

— სათესი, სალეწი მანქანა ხომ არა გაქვს, ან—საკუთარი ან საამხანაგო.

— შე კაიკაცო, დამცინი მგონი—მაგიებს ვინ მოგვცემს, ორი თოხის და ორი ბარის მეტი არა—მაქვს რა.

— ყურძნის მაშინა, ან გოგირდის სასხურებელი?

— აქეთ ვენახები ნაკლებათ არის, რაც—არის ისიც ხმება რათ—მინდა.

— ეზო რამდენი კვადრატიული საჟენი გაქვს?

— ეზო, არ გამიზომნია, და ასე 8—10 კვადრატიული საჟენი თუ იქნება.

— მაგ პატარა სივრცეზი, სახლიც-კი არ—დაეტევა, ვუპასუხე მე.

— რა—უყოთ, ერთი პატარა ქოხი მიდგას კლდეზე, ქოხიდგან გამოვალ თუ არა, იმ წუთას შარაზე უნდა გადმოვიდე.

— სახნავი, სათიბნი და დასასვენებელი მიწა რამდენი ქცევა გაქვს?

— სად არის ბატონო მიწები, სამყოფი არავისა გვაქვს, რაც—არის ისიც ტყუილი შრომაა ზედ—არაფერი მოდის, იქნება ასე სამი ქცევა.

— მეწშევიკებს, ხომ არაფერი მოუციათ ან წაურთმევიათ?

— არც—არაფერი მოუციათ, და არც არაფერი წაურთმევიათ.

— კომუნისტებს?

— მომცეს ერთი ქცევა ამაშუკეთში, მაგრამ მისი პატრონი აზნაურიშვილია, არ—შემიშვია, „რომ მოხვიდე, თავს—გაგიტეხავო", ძლიერ მიუკარებელი ხალხია, რამდენი ვიჩივლე მაგრამ ტყუილია, არაფერი გამოვიდა, ცუდათ გვიცქერიან გლეხებს, და შიშით ვერც-კი შევსულვარ.

— იჯარით ხომ არა—გაქვს აღებული ან გაცემული მიწა?

— რას ამბობთ!

— სათიბი ხომ არა—გაქვს?

— ჩვენში სათიბი არაა.

— ვენახი რამდენი ქცევა გაქვს?

ერთი ჩეთვერი ჩხირა ვენახი, ისიც ნახევარი გახმა.

გლეხობის უმეტესობა აი ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობაშია. სახლობენ მაღალ მთის ფერდობებზე გაფანტულად სახლები ყველგან ხისაა, კრამიტით გადახურული, აღწერებში ყველა მხურვალე მონაწილეობას იღებდა, ცხადდებოდნენ უკლებლივ —ყველანი, გვეხმარებოდნენ, და [illegible] თვითონვე ასწორებდნენ [illegible] ტესობა ღარიბად [illegible] საცა 1200 კომლია [illegible] არის კოოპერატივები, რაც დიდ—დახმარებას, გაუწევს და დიდათაც წაახალისიანებს მშრომელ გლეხობას. თესავენ სიმიდს, აქა-იქ კი პურსაც. მოსავალი საერთოდ ნაკლებად იცის, აწუხებთ მეტის-მეტათ მიწის სიმცირე, არ არის ისეთი გლეხი რომ სამი ქცევა მიწა—მაინც არ ჰქონდეს, რომელიც ორ სამ წელიწადში იქნება. და თხოულობს 15—20 წელიწადს დასვენებას, რაც მეტის-მეტად გაჭირვებაში აგდებს მშრომელ გლეხობას. არ მოეპოვებათ სასოფლო სამეურნეო ინვენტარი, არც საკუთარი და არც საამხანაგო, აქა იქ თუ აქვთ კავი, რაც მიწის დამუშავებას აფერხებს, მევენახეობა შემცირებულია ძლიერ 1913 წელთან შედარებით, შაბიამნის სიძვირის გამო, გაჩენილია ვენახის ავადმყოფობა, ვისაც ცოტაოდენი შეუძლიან გოგირდით თუ სწამლობს.

მესაქონლეობაც ომის წინა დროსთან შედარებით შემცირებულია, საკვები მასალის უქონლობის გამო. ხშირია საქონლის ავადმყოფობა თურქული. მდგომარეობა რთულია, დროა მივხედოთ სოფელს.

გავაუმჯობესოთ მათი მდგომარეობა, ცოტათი მაინც, მივაწოდოთ წიგნები და გაზეთები, ვინაიდან სამკითხველო არსებობს. სასოფლო სამეურნეო ინვენტარი, კოოპერატივის საშუალებით, რომელიც არსებობს. გაწვეულ უნდა იქმნან აგრონომები, რომლებიც ძლიერ დიდ დახმარებას გაუწევთ სოფელს. უნდა დაარსდეს ფოსტა. ურომლისოდაც ამაშუკეთის თემი მოწყვეტილია ცენტრს. მდგომარეობა უნდა გაუმჯობესდეს, ვინაიდგან ჯისედაც გაჭირვებული მშრომელი გლეხობა, ვიხსნათ იმ მდგომარეობიდან, რომელსაც ეხლა ის განიცდის დახმარებით მშრომელი გლეხობა ფეხზე დადგება, და მზათ იქნება ქალაქის პროლეტარიატთან ერთად საერთო საქმეში.

**კოლეია კოპ ლაძე.**

## ხელოვნება

### სახელმწიფო ოპერა.

მეორე წარმოდგენისათვის სახელმწიფო ოპერაში დადგმულ იქმნა დასავლეთ ევროპის საოპერო რეპერტუარიდან ტფილისში მეტად პოპულიარული ჟორჟ ბიზეს ოპერა „კარმენი". ამ ოპერის წაყვანას წინ უსწრებდა დიდი მითქმა-მოთქმა, და მის დადგმას დიდის ინტერესით ელოდნენ ტფილისის საზოგადოების, როგორც მუსიკალურ და მხატვრულ, ისე საოპერო ხელოვნების მოყვარულ წრეებში.

უმთავრეს პარტიას, კარმენისას—ასრულებდა, ტფილისისათვის ახალი ამსრულებელი ამ პარტიისა, ადა რებონე.

ვინ არ იცნობს ეხლა ოპერა „კარმენს", რომელიც არ იქმნა მოწონებული პირველი დადგმის დროს პარიზში 1875 წ., მაგრამ, რომელსაც, ეხლა, ყველა კულტურულ ქვეყნების მსმენლებში დაიმსახურა თანაგრძნობა და სიყვარული. მეტად პოპულიარულია ეს ოპერა ჩვენში, ტფილისშიაც, და ამიტომ ბუნებრივია, რომ მისმა პირველმა დადგმამ, უმთავრესი პარტიის ახალი შემსრულებლით და თანაც პეტერბურგის დრამის ახალი mise en scène-ებით—დიდი ინტერესი გამოიწვია და სავსე აუდიტორია მოიზიდა.

მსახიობი ქალი რებონე მშვენიერ, ძლიერ ხმის პატრონი ყოფილა (მაღალი Mezzo soprano). მსახიობი მშვენივრად ხმარობს თავის ხმას და იძლევა ლამაზ ძალდაუტანებლივ ძგერათა ტალღას. იგი მუსიკალურია, მშვენიერი ფრაზიროვკით და სიმღერაში იძლევა დინამიურ შტრიხებს. კარმენის პარტიის შესრულებას სცენიურ გადაცემაზედ ნაკლები განწყობილება არ სჭირდება. კარმენი ცოცხალი, გულუბრყვილო და გულწრფელი არსებაა—სიყვარულიც და სიძულვილიც მან ბოლომდე იცის. და საჭიროა ყოველივე ამის აღნიშვნა. მომღერალი კი ვერ გვაძლევდა ყოველ ადგილს კარმენის დამახასიათებელ თვისებებს, თუმცა სიმღერის ტემპერამენტი მას სწორე ჰქონდა. ვოკალურ აღსრულების დაუმთავრებლობას მე ვხსნი პეტერბურგის მუსიკალურ დრამის მეთოდით ოპერის დადგმაში, რომელსაც, ალბად მისდევს მსახიობი რებონე. ეს მეთოდი არის—სუსიკით დახასიათებული მომქმედი პირის უშუალო განცდანი დაუმორჩილოს მოქმედების განვითარებას ამითივე ვხსნი მე არა რიტმიულობასაც, რომელიც ემჩნეოდა მსახიობს ოპერის მთელი მსვლელობის დროს, და ვოკალურ-დრამატიულ მომენტების ბუნდოვანებასაც.

სცენიური გადაცემა უფრო მკრთალი იყო: კარმენი, მსახიობ რებონეს შესრულებაში, ვერ იტაცებს მაყურებელს.

არაა დრამის თანდათანობითი განვითარება, რომელსაც ოპერის გმირი კატასტროფიულ ბოლომდე მიჰყავს. იყო, რასაკვირველია, მეტად მხატვრულად შესრულებული ეპიზოდებიც. ეს ადგილები არის: მე-2 მოქმედებაში დონ-ხოზესთან ერთად, სადაც მომღერალმა გამოიჩინა დიდი ტემპერამენტი და საუცხოვო მიმიკა და მე-3 მოქმედებაში მკითხაობის სცენა, მაგრამ უფერული იყო დონ-ხოზესთან გამოთხოვების სცენა, ტორეადორით გატაცება და, განსაკუთრებით, უკანასკნელი სიკვდილის სცენა, რომელიც, მსახიობ რებონეს აღსრულებაში, იყო გაუგებარი და არა მხატვრული. საჭიროა უფრო მრავალფეროვანი გრიმი და მიმიკა.

პირველობის გვირგვინს ამ ოპერაში მე ისევ ჩვენს პრემიერს, სარაჯიშვილს მივაკუთვნებდი, რომელსაც თამამად შეუძლიან დონ-ხოზეს პარტია შეიტანოს თავის ფართო რეპერტუარის საუკეთესო ნომრებში. მსახიობს პარტია დაწვრილებით აქვს შემუშავებული, როგორც ვოკალურის, ისე—და განსაკუთრებით—სცენიურის მხრივ. უკვე პირველ გამოსვლებიდან აღარ არის მომღერალი სარაჯიშვილი, არამედ მაყურებლის წინაშე არის ექვიანი, დატანჯული და ამავე დროს საშიშარი თავისი გადაწყვეტილებით, მოკლას თავისი დამღუპველი, მაგრამ მეტად ძვირფასი ქალი—ესპანეთის არმიის ჯარის კაცი დონ-ხოზე. დიდი მადლობის ღირსია მომღერალი სარაჯიშვილი ამ პარტიისათვის.

მსახიობი კრიჟანოვსკი, ესკამილიო, იძლევა ესპანეთის ტორეადორის მხატვრულ სახეს; მღერის ჩვეულებრივის მუსიკალობით. კარგი ჰქონდა გრიმი და მიმიკა.

მსახიობმა ქალმა მიზავეცკიმ, მიკაელი, მოგვცა წმინდა, გულუბრყვილო, ხოზეს მოყვარულ ქალის პოეტური სახე, მე არ მომწონს მხოლოდ მომღერლის ის მანერა, რომ იგი სიმღერას თანდათანობით არ ანვითარებს. სიმღერას ეკარგება მხატვრული მხარე.

მსახიობი ვენაძე მუსიკალურად მღერის მორალესის ეპიზოდიურ პარტიას.

დირიჟორმა ივანე ფალიაშვილმა პირდაპირ იხსნა ოპერა მუსიკალურის მხრით, რადგანაც მსახიობ რებონეს არა რიტმიულ სიმღერას (ან უფრო სწორედ რომ ვსთქვათ ad libitum—ის რითმით) შეეძლო თავ-გზა აებნივნა ნაკლებად გამოცდილ ხელმძღვანელისათვის. ი. ფალიაშვილმა მშვენიერი მუსიკალური ადგილები მოგვცა მე-3 მოქმედების ინტროდუქციაში და დიდი ტემპერამენტი მე-4 მოქმედების ინტროდუქციაში. საერთოდ ბევრი იყო ლამაზი ადგილები მთელი ოპერის აღსრულებაში.

ვერ არის საინტერესოდ მოწყობილი ძიეკოვსკის მიერ ცეკვა: ცოტაა ადგილი და ცეკვამდნენ არა რიტმიულად. მაინც სხვებზედ უკეთესი იყო მოცეკვავე—ქალი ლეონოვი.

თვით ოპერის დადგმა, სამწუხაროდ, სრული, თვალდახუჭული მიბაძვაა პეტროგრადის მუსიკალურ დრამის mise en scène-ებისა. კარგათ არის დადგმული მე-2 მოქმედება ტავერნში, აქ ბევრი სიცოცხლე და მოძრაობა არის, მაგრამ დანარჩენი 3 მოქმედების დადგმა გვაიძულებს მწუხარებით მოვიგონოთ ამ ოპერის დადგმა წინა წლებში.

გუნდი კარგად მღერის საერთოდ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში პირველ მოქმედებას, სადაც მეტად ხაზს უსვამენ რეალიზმის ფერებს.

კარგია სცენიური ეფექტი—რიჟრაჟი მთებში.

**გ. ხებუთიშვილი.**

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.